

მთავარი

№ 8

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 8

1910 წ. 18 აპრილიდან ქ. თბილისში გამოდის
ყოველკვირეული სახალატიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ყოველკვირეული გაზეთი

„მთავარი“

გაზეთის ფასი—ერთი წლით—5 მან. ნახევარი წლით—3 მ.
ერთი თვით—ათი შაური. ცალკე ნომერი ორი შაური. ხე-
ლის მოწერა შეიძლება აკრეფე რამდენიმე ნომერზე, ორ-
არი შაურის ანკარიშით, არა ნაკლებ ხუთისა.

ფოსტის ადრესი: Тифлиς, Типография „Печатное Дѣло“,
Александрю Сардионовичу Ландія, (Вельяминовская, 6).
რედაქტორ-გამომცემელი კ. ა. მგულაძე.

შინაარსი: მეთაური. — თანამედროვე კითხვები,
ვეტერანისა, — ხოლერა თბილისში, **მოქალაქისა**. —
რუსეთის ცხოვრება. — საზღვარ გარეთი. — ტუსალის
სიმღერა, ლექსი, **რ. ლეჩხუმელისა**. — რუსულის
უცოდინარი, **ვინმე ხანისა**. — დროებით ვალდებუ-
ლი გლეხები. — ეკონომიური ცხოვრების განვითარება,
შვარცისა. — მუშათა ცხოვრება, **ბესოსი**. —
კორესპონდენციები. — წერილი რედაქციის მიმართ,
გ. ჩივაძისა. — განცხადებანი.

კალაქის სანიტარ. აღმასრულ. კომისიის მოწოდება.

თბილისი 4 ივლისი.

ხოლერისაგან თავის დასაცავათ საჭიროა:
არ უნდა დალიოთ აუღულარი წყალი, სვით მხოლოდ
ახლათ გადაღულბული ან და ბერკველდის ფილტრში
გატარებული წყალი.
გადამეტებულათ არ უნდა სჭაოთ.
ერიდეთ ყველაფერს, რასაც შეუძლია კუჭის მოშლა.
გადაქარბებულათ ნუ იხმართ მაგარ სასმელებს.
არ უნდა დალიოთ ბევრი ცივი წყალი ან სხვა რაი-
მე სასმელი.
არ უნდა დარჩეთ დიხანს უქმელი.
არ უნდა გამოხვიდეთ სახლიდან უქმელი.
არ უნდა იბანოთ ცივ წყალში, განსაკუთრებით ქა-
მის შემდეგ.
მტკვარში არ იბანოთ.
არ უნდა დაიქანცოთ სიარულით ან მუშაობით.
არ უნდა დალიოთ აუღულარი რძე.
არ უნდა ჭამოთ უმი გაუფუცქველი ან და ნაღულ
წყლში გაურეცხელი ხილი ან წვანილი.
ამასთანავე ზომიერათ უნდა იხმართ ყოველივე ეს.
უნდა სუფუათ შეინახოთ სახლი, ტანთსაცმელი,
საცვლები, ქვეშაევი, ტანი და ხელები.
რამდენათაც შესაძლებელი იქნება, ხელი და პირი
აუღულარი წყლით არ დაიბანოთ, პირი ნაღული წყლით
უნდა გამოირეცხოთ.
ხელი ხშირათ საპნით უნდა დაიბანოთ.
ხელ დაუბანელმა არაფერი არ უნდა ჭამოთ.
ჭურჭელი, საწოლავე და პური უნდა გადაფარებუ-
ლი შეინახოთ, რომ ბუზები არ დაახდენ და, რიხაც კი
შესაძლებელი იქნება, დახოცოთ ბუზები.

თანამედროვე სამეურნეო სისტემის მთავარ ნაკლათ
უორგანიზაციობა ითვლება. ყოველი მრეწველი თავის
საკუთარ ინიციატივაზე და სურვილებზე, კომერციულ
აღლოზე აჩის მინდობილი. თავის კაპიტალს იგი ისეთ
საქმეში, წარმოებაში ათავსებს, რომელიც უფრო ხელ-
საყრელათ მიაჩნია თავისთვის და სრულიად არ შედს
იმის გაკითხვაში თუ რა უფრო საჭიროა საზოგადოები-
სათვის. კითხვის ეს მხარე მას მხოლოდ იმდენათ აინტე-
რესებს, რამდენათაც მეტ პროცენტს და მოგებას უქა-
დის. ასეთი სისტემა, როგორც წინეთაც გვითქვამს, ბა-
დებს დრო გამოშვებით მრეწველობის კრიზისებს, რო-
მელნიც დიდ ზარალს აყენებენ თვით მრეწველ-კაპიტა-
ლიტებს და თვალსაჩინოთ ხდიან არსებული სისტემის
ბოროტებას, მთელი საზოგადოებისათვის მის მანელო-
ბას. ამიტომ არის, რომ მუშათა კლასი ესწრაფვის სა-
ხალხო მეურნეობის ორგანიზაციას, მისი სისტემის ძირი-
თადათ შეცვლას, თანამედროვე კაპიტალისტური საზო-
გადოების სოციალისტურათ გარდაქმნას.
ამ სისტემის ნაკლს გრძობენ კაპიტალისტებიც და
იანიც ცდილობენ თავი მოუარონ, მაგრამ არა მთელი
სისტემის უარყოფით, არამედ, მისი შეკეთებით, შესწო-
რებით. და ასეთ საშვალებათ აქვთ მიჩნეული მრეწველ-
თა სინდიკატები (კავშირები) და ტრესტები. ამ შეკავ-
შირებით უნდათ აიცილონ თავიდან მათ შორის არსე-
ბული კონკურენცია, როგორც საქონლის ფასების, ისე
სამუშაო ხელფასს განსაზღვრაში. ამ გზით უნდათ დაი-
მორჩილონ და დაიმონავონ სავსებით ერთი მხრით მხმა-
რებელნი და მეორე მხრით მწარმოებელნი, მუშეი.
ეს საშვალება უკვე ნაცადია და ხელსაყრელათ ცნო-
ბილი ევროპ სა და ამერიკის ეკონომიურათ დაწინაურე-



ბულ ქვეყნებში, და ამ ბოლო დროს რუსეთის კაპიტალისტებიც შეუდგენ მითი სარგებლობას. უკანასკნელმა კრიზისმა უფრო მწვავეთ დაუყენათ ეს საკითხი ჩვენ კაპიტალისტებს და ისინიც შეუდგენ სინდიკატების მოწყობას. დღეს უკვე არსებობს რუსეთში რამდენიმე სხვილი სინდიკატი, გარდა ეგრეთ წოდებული სიეზდებისა, რომელნიც ბოლოს და ბოლოს იმავე მიზანს ემსახურებიან. ასეთებია სინდიკატები სპირკის ფაბრიკებისა, ურალის სახურავი რკინის ქარხნებისა, შაქრის ქარხნებისა, მიწის ქარხნებისა, ცემენტისა, რეზინისა, ბენზინისა და სხვა.

ყველა ესენი შეკავშირებული და ორგანიზაციულათ შეკრული არიან მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ჯიბის ინტერესების დასაცავათ და უკვე დააჩინეს კვალი ჩვენ სამეურნეო ცხოვრებას თავიანთი ნაწარმოების გაძვირებით. ამ გარემოებამ მესამე დუმა და მთავრობაც აიძულა მიეჭკიათ ყურადღება ამ მოვლენისათვის და დღეს დასულია საკითხი ამ სინდიკატების შესახებ. მთავრობამ შეადგინა საუწყებოთაშორისო კომისია თავისი მოხელეებისაგან და მიიწვია რამდენიმე პროფესორიც თათბირში მონაწილეობის მისაღებათ. რა გზას დაადგება „თათბირი“, წინდაწინვე ვერ ვიტყვი, მაგრამ თვით დუმისა და მთავრობის ბუნებას იმდენათ მაინც ვიცნობთ, რომ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, იგინი მრეწველთა ინტერესების წინააღმდეგ არ წავლენ. მაშ, მით უფრო საჭიროა გავითვალისწინოთ ამ მოვლენის ახლობელი შედეგები და მასთან ბრძოლის საშუალებანი.

საშიშარი და მავნებელია კაპიტალისტთა ორგანიზაცია არა მარტო მხმარებელთათვის და არა მარტო ფასების აწევით და მათთვის მონოპოლისტური მდგომარეობის მინიჭებით. ასეთი ორგანიზაცია უფრო საშიშია მუშებისათვის, რომელთა ხსნის საუკეთესო საშუალება არის თვით მათში სოლიდარობის განმტკიცება და კაპიტალისტების დეზორგანიზაცია. უკანასკნელთა შეკავშირება კი ერთი სამეურნეო წარმოების ხასიათს აძლევს ყველა მოკავშირეთა ფაბრიკა-ქარხნებს და დამოკიდებულებათა გამწვავების დროს მეტათ შეაფერხებს მუშების საქმეს კაპიტალისტებთან ბრძოლაში: ის მუდმივათ აქცევს კაპიტალის საშინელ იარაღს, ლოკაუტს, რომლის გასატარებლათ დღეს დიდი შრომა და მეცადინეობა სჭირდებათ ცალ-ცალკე მყოფ კაპიტალისტებს.

ეს ორგანიზაცია სრულ ძალას მიანიჭებს აგრეთვე ეგრეთ წოდებულ „შავს სიებს“ მუშებისას, რომელთა მეოხებით შრომის უფლებასაც კი ართმევენ მუშებს და სხვ. ამ მხრით მეტათ მავნებელია სინდიკატების გაჩენა მუშათა ინტერესებისათვის და პროლეტარიატიც ყოველთვის მომზადებული უნდა დახვდეს.

კანონის შემწეობით ამ მოვლენის უარყოფა შეუძლებელია, კიდევ რომ მოიძებნოს მისი წინააღმდეგ კანონმდებელი, რადგან იგი ძლიერ შეგუებული და სარეაქციონერულია მეურნეობის ბატონ-პატრონთათვის. მით უმეტეს არაა მოსალოდნელი ასეთი ბრძოლა სახელმწიფო აპპარატისა სინდიკატების წინააღმდეგ, რომ თვით საკანონმდებლო დაწესებულებანი მათგან არიან დამოკიდებული.

მაშასადამე, მუშათა კლასმა სხვა კლასებთან ერთად მათთან საბრძოლველათ. ასეთი გზა არის ისევე მუშათა შეკავშირება, სოლიდარობა და საერთო სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია კაპიტალის ორგანიზაციას, როგორც სახელმწიფოს სახით მოვლინებულს, ისე სინდიკატებს, მან უნდა დაუპირდაპირად თავისი პროლეტარული ორგანიზაცია, როგორც ამა თუ იმ წარმოების განსაზღვრულ დარგში, ისე მთელი მუშათა კლასისა იმპერიის საზღვრებში და საერთაშორისოც, მართალია, კაპიტალისტებისათვის უფრო ადვილია ასეთი უნივერსალური ორგანიზაციების შექმნა, რადგან მათი რიცხვი ბევრათ უფრო მცირეა, მაგრამ მუშების, მშრომელთა ძალა ამ შეუთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ მათთვის სოლიდარობის გარეთ არ არის ხსნა, ყოველი შემთხვევა და მოვლენა ამ სოლიდარობას უკარნახებს პროლეტარიატს! კაპიტალისტებისათვის კი ხსენებული ორგანიზაცია სასარგებლოც არის, მაგრამ საგრძობელი ნაკლიცა აქვს თანდაყოლილი: იგი ასუსტებს მათ შორის კონკურენციას, და ეს კი მათი ბუნების ისეთივე გარდუვალი მოთხოვნილებაა, ისეთსავე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, როგორც წყალი თევზისათვის და ჰაერი ყველა ცხოველისათვის. ეს გარემოებაც უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა...

რაც შეეხება სახელმწიფოს, იმისაგან, რა საკვირველია, შესაძლებელია მოთხოვნა სინდიკატებს აღგმვისა, მათი განსაზღვრულ ფარგლებში ჩაყენებისა, ნამეტანი თავაშვებულობისათვის სასჯელთა დებულების კომპეტენციის ქვეშ დაყენებისა, მაგრამ ყველაზე უმთავრესი და უმჯობესი იქნება მეტბოლოთა თანასწორ პირობებში ჩაყენება. ამისთვის კი პირველ ყოვლისა საჭიროა მშრომელთა კლასობრივი და პოლიტიკური ორგანიზაცია-შეკავშირების სრული თავისუფლება ისე, როგორც კაპიტალისტებს აქვთ ამის უფლება დღეს მინიჭებული. და თუ ეს უფლება ექნება ხელთ პროლეტარიატს, იგი თვით შესაძლებელ გაუქმლავდეს მოპირდაპირეს...

მიმდინარე კითხვები.

I.

დადგა დრო, როცა მოთქმა-გოდების და ჩივილ-მუდარის ადგილი აუცილებლათ ფიხელმა მსჯელობამ და დღევანდელი სინამდვილის ობიექტიურმა ანალიზმა, პირუთვნელმა, მიუდგომელმა კვლევა-ძიებამ უნდა დიკიროს. რეაქცია არ დაიძლევა არც გოდებით, არც გმობიერი სიტყვებით. იგი წარმოადგენს ძალას. რაც გინდათ ის უწოდეთ ამ ძალას: ტლანქი, ფიზიკური ძალა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იგი რეალური მოვლენაა, უტყუარი ფაქტია, რომლის ძირი იმალება, ერთი მხრით, ხალხის, ფართო მასის შეუფერხებლობაში და, მეორე მხრით, საზოგადოების ძალთა დაქსაქსავაში. ერთი უძ-

იქნებოდა ეს წინ გადადგმული ნაბიჯი მუშათა მოძრაობის მიერ ჩვენში, თუ უკან დახევა? საკმარისია სულ მცირედი მიუდგომლობა, ერთი მხრით, და წარსული ისტორიის ცოდნა, მეორე მხრით, რომ ამაში უკან დახევა ვსცნოთ, და არა წინ სვლა. ლამაზ ეწინააღმდეგება როგორც მეცნიერული სოციალიზმის თეორიული საფუძველი, ისე საერთაშორისო პროლეტარიატის მთელი ისტორია. სამწუხაროა, როცა ყოველივე ამას ივიწყებენ ან თავისებურათ ხსნიან. მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ მთელი ეს პროგრამა მუშათა მოძრაობის ახალი ფორმების დასაფუძნებლათ დღევანდელ ჩვენ პირობებში წხოლოდ ჰაერში რჩება გამოკიდებული; რჩება მხოლოდ სიტყვებით, და სინაჰდლიეში კი ჩვენ ვხედავთ,—რალაც დამახინჯებულ, კარიკატურულ ფორმებს. ყოველთვის და ყველაფერში ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ შინაარსს და არა მომხიბლავ სიტყვებს და ლამაზ ფორმებს. რამდენათ საყურადღებოა ამ მხრით ნეიტრალური პროფეს. კავშირები, კოოპერატივები? რას იძლევიან ეგრეთ წოდებული სახ. უნივერსიტეტები, კურსები, კლუბები, ლექციები?

არავინ იფიქროს, რომ ჩვენ ვითომც წინააღმდეგნი ვართ ყველა ამასებს; და მართლაც, განა შეიძლება სახალხო უნივერსიტეტის, ლექციების და მუშათა კლუბების წინააღმდეგ რაიმეს თქმა? მაგრამ უბედურება ის არის, რომ აქ მხოლოდ სიტყვების რახა-რუხია. ვის ვატყუილებთ? ვინ დგანან აქ სათავეში? მუშების ნამდვილი წარმომადგენელი, თუ ისინი, რომლებიც მხოლოდ თითონ ირქმევენ ამ სახელს? და მერე რას არ ასაღებენ დღეს სახალხო ლექციის, სახალხო უნივერსიტეტის სახელით? ვინ გინდა ამ წმიდა დროშას არ ებლაუქება? აქ თქვენ ხედებით ყველა ჯურის ადამიანს შარლატანიდან და აფერისტიდან ვიდრე მშვიდობიან განახლების მიმდევრამდე. აქ თქვენ შეხვდებით რევიზიონისტს, შეხვდებით იმას, ვინც წინეთ სახალხო მოძრაობის ნიადაგზე იდგა, მაგრამ მას ეს ახლა მობეზრდა, მან თბილი ადგილი გამონახა და სინიდისის დასამშვიდებლათ ახლა მას ესაჭიროება ქველმოქმედება. უკლებია აქ თქვენ მუშაც დაინახოთ, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ იგი უკვე აღარ დგას მოწინავე პროლეტარიატის ნიადაგზე; იგი ამ შემთხვევაში უკვე მომხრეა არა თუ მშვიდობიან განვითარების, არამედ მშვიდობიან თანამშრომლობისა საზოგადოებრივ კლასებს შორის.

ღიახ, ჩვენ არ გვინდა მოვანიზლიოთ თავი ცარიელ სიტყვებს და არც ის გვინდა, რომ სხვები მოიხიბლონ იმათი მეოხებით. ვინ არ იცის, თუ რა როლს თამაშობს თვით მუშა ხალხი დღეს ჩვენში სახალხო უნივერსიტეტის, ლექციების და კურსების მოწყობაში? ვინ არ იცის, თუ ვინ არიან აქ ბატონები, გამგეები? თავისთავათ ასეთ დაწესებულებათა სარგებლობას არავინ არ უარყოფს. აუცილებლათ საჭიროა იმათი გამოყენება, სადაც კი ეს შესაძლებელია, მაგრამ ყველა იმედების იმათზე დამყარება, იმათი ჩათვლა საძირკვლათ იმ შენობისათვის, რომელიც შეგნებული პროლეტარიატის ხელებით უნდა იქ-

ნას აგებული,—ეს დღევანდელ პირობებში თავისი თავის მოტყუილება იქნებოდა და მეტი არაფერი. ადმინისტრაციის შემდეგ დღეს აუდიტორიების პატრონები და მბრძანებელი არიან რობაქიძენი, უკეთეს შემთხვევაში გომართლები, საზოგადოთ კი ყველა თვალთმაქცი და ჯამბაზები. —გვეტყვიან: ყოველივე ის, რასაც შენ აქ გმობ, დღეს მეტათ დიდ კულტურულ იარაღს წარმოადგენს; იგი უძლიერესი საშუალებაა ჩვენი მუშაობისთვისო. სავსებით ვეთანხმებით იმას; მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ამ იარაღის სავსებით ხელში ჩაგდება და იმის მოხმარა ისე, როგორც ამას მოწინავე პროლეტარიატის ინტერესები ზოითხოვს, და არა ისე, როგორც ეს დღეს არის, როცა ჩვენთვის დანიშნული იარაღი სხვის ხელში იმყოფება, და იმას ისე ხმარობენ, როგორც მოისურვებენ, მაგრამ არასოდეს პროლეტარიატის სასარგებლოთ.

ვეფრიანა.

ხოლერა თფილისში.

თფილისში ხოლერა მძინვარებს. როგორც ყოველთვის, იგი ეტანება ქალაქის მცხოვრებთა ღარიბ-ღატაკ ნაწილს. უკვე 75-დი შემთხვევა იყო რამდენიმე დღის განმავლობაში და თითქმის ყველა ესენი მუშები, „ღვარნიკები“ და დაბალი მოქალაქეებია. დაღუპულთა შორის ავალსაჩინო ადგილი უჭირავთ შავ მუშებს და მათ შორის სპარსელებს და თათრებს, რომელნიც, როგორც ვიცით, უფრო ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრობენ.

ასეთია ღარიბ-ღატაკთა ხვედრი! ყველაფერი უბედურება მათ უნდა დააწყდეს თავზე...

საყურადღებო და საშიშარია ის გარემოებაც, რომ ეს საშინელი სენი გასაოცარი სისწრაფით ვრცელდება. 29 ივნისს სულ ათამდე შემთხვევა იყო 30-ს 15 თუ 17, პირველ ივლისს კი უკვე სამოცზე მეტი საღამოს ხუთ საათამდე. ასეთი პროპორციით თუ იმატა, რამდენიმე კვირაში სულ მუსრს გაავლებს ქალაქს.

ამიტომაც არის საჭირო ამ თავითვე ენერგიული ზომების მიღება, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ქალაქის თვითმართველობისაგან. სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თვით სენის ფორმა მეტათ სასტაკია. საექიმო მეცნიერებაც ჯერ ვერ ებრძვის მას, როგორც ეს საჭიროა, ვერ უწევს წინააღმდეგობას და ისევ თავის მოვლა და ისევ წინასწარი, სენის ასაკილებელი საშუალებანი რჩება მცხოვრებთა ხელში. საჭიროა თავის მოვლა, სისუფთავე, კუჭის ნორმალურ მდგომარეობაში დაცვა თანახმათ საექიმო მეცნიერების ჩვენებისა. ყოველივე ეს ადვილი მოსახერხებელია მცხოვრებთა შეძლებული ნაწილისათვის, ღარიბ-ღატაკთათვის კი თვით იმ უბრალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი მოუხერხებელია, რომელიც თხოულობს უდუღარი წყალი არ დალიონ,

რადგან უკვე გამოირკვა, რომ ჩვენ წყლის მიღშიც გა-
ჩენილა ხოლერის ვიბრიონი.

ამ ნაწილს უნდა მიაქციოს ქალაქმა ყურადღება და
უფრო ენერგიულად გაყვეს იმ გზას, რომლებზედაც შე-
დგომა განუზრახავთ. როგორც დღიური გაზეთები გვა-
ტყობინებენ, ქალაქს გადაუწყვეტია, უფასო საჩაიებო მო-
აწყოს ვერისა და თათრის მოედნებზე. მაგრამ ეს არ კმა-
რა როგორ შეიძლება, რომ მთელი თფილისის ღარიბ-
ლატაკთ ორ პუნქტში მოიყარონ თავი. აუცილებლათ სა-
ჭიროა, ასეთი საჩაიები მოეწყოს ყველა იმ პუნქტებში,
საცა თავს იყრიან მიმსვლელ-მომსვლელები, რომ ეს ერთ-
ერთი თავის დაცვას საშუალება ყველასათვის ხელმისა-
წდომი იქნეს. ასეთი საჩაიე ორი კი არა ათი და შეიძლე-
ბა ოციც შეიქნეს საჭირო და ქ. გამგეობას ნება არა
აქვს, ამისთვის საჭირო ხარჯს დაერიდოს.

საჭირო და სავალდებულოა იმავე ქალაქისათვის, რომ
ყველა მსურველს მაწოდოს უფასოთ საღებინფექცია მა-
სალეზი. სავალდებულოა აგრეთვე, რომ საჩაიებთან ერ-
თათ ყოველ პუნქტზე გადადუღებული წყალიც საკმაოთ
იყოს, რადგან ამ პაპანაქება სიცხეში ჩვენი ხალხი ცხელ
ჩაის მაინცა და მაინც ვერ შეეგუება და მოსალოდნელია
პირდაპირ მილის წყლით ისარგებლოს. ერთი სიტყვით
ქალაქის გამგეობისაგან საჭიროა ყოველივე ღონე ილო-
ნოს და მცხოვრებთ მისცეს საშოალება, მიიღონ ყველა
თავის დაცვის ზომები მცხოვრებთაგან კი სიფრთხი-
ლე, თავის მოვლა, სენის დროზე გამხელა და სულის
სიმტკიცე, და მაშინ შეერთებული ძალებით ამ საზიზღარ
სენსაც გაუმკლავდება ხალხი. საჭიროა, ხალხის მასსა შე-
გნებულათ შეხედეს ყოველ უბედურებას, ჩვეულებრივი
დაუდევრობა ასეთ მძიმე მომენტში მაინც უნდა უკუ-
ვადლოთ.

მთქალაქი.

რუსეთის ცსოვრება.

ვაჭარ-მრეწველთა შუამდგომლობა. საბირჟო ვა-
ჭრობისა და სსოფლო მუურნეობის წარმომადგენელთა სიუხდე-
ბის საბჭომ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს სს. საბჭოში
არჩევნების შესახებ მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში აღნიშ-
ნულია, რომ დღევანდელი საარჩევნო წესის მიხედვით საბჭო-
ში ადგილების განაწილება განსაკუთრებით ამომრჩეველთა სურ-
ვილზეა დამოკიდებული, ხოლო ამომრჩეველები უმეტეს შემთხვე-
ვაში ხელმძღვანელებს სურთთ. ზოლიტიკური პირობებით და
ხშირათ არ უწყვენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ საჭიროა
შეძლებისამებრ თვითთუდ რაიონს, რომელთაც სხვა-და სხვა ვა-
რი ინტერესები აქვთ, წარმომადგენელი უკადეთ საბჭოში. ამი-
ტომაც არის—საბჭოს ახრით—რომ დღეს მრავალ რაიონებს
არ უფთ თავიანთი წარმომომადგენელი სახელმწიფო საბჭოში.
ამ არა-სსურველ მოფლენის თავიდან ასცილებლათ სიუხდების
საბჭო აუცილებულ საჭიროთ სთვლის საარჩევნო წესის ისე შე-

ცვლას, რომ თვითთუდ მსხვილ სამრეწველო რაიონს რაიონ-
თავისი წარმომადგენელი. ამისთვის საჭიროთ მიახნია მას ვაჭ-
რობა-მრეწველობიდან სს. საბჭოს წევრთა რიცხვი გადადეს.
დღეს არსებული რიცხვი კი—საბჭოს ახრით—არ ეთანხმება
იმ მნიშვნელოვან ადგილს, რომელიც უჭირავს ვაჭრობა-მრე-
წველობას ქვეყნის სამუურნეო ცსოვრებაში. უკანასკნელათ სი-
უხდების საბჭო უთითებს იმ გარემოებაზე, რომ არჩევნების
დღევანდელი წესით ხშირათ მრეწველი კენჭს იერის ვაჭრებ-
ში, ვაჭარი კი მრეწველებში. საბჭოს ახრით კი საჭიროა ვა-
ჭრებიდან ცალკე ხდებოდეს არჩევნები და მრეწველებიდან ცალ-
კე, ე. ი. გაიყოს ორ კურათ.

„საბედისწერო შემთხვევა.“ ამ რამდენიმე ხნის წინათ
კიევის გუბერნიის ქ. ზოხეში ვიდაცეებმა ბიზოესკის ოჯახში
შეკვლელთა მოხდინეს. ამ საქმეზე კიევის სამსედრო-სოფლო
სსამართლამ გასამართლა ორი კაცი, რომელთაგან ერთს მიუ-
სჯა სიკვდილით დასჯა და მეორეს 20 წლით კატორგა. ზირ-
ველი—გლუსკერი უკვე ჩამოახვეს, ხოლო მეორე—უმხინი ვა-
ხანეს კატორგაში. მაგრამ ვიდა რამდენიმე ხნი და გამოირკვა,
რომ ორივე ისინი უდანაშაულო იყვენ; აღმოჩინეს ნამდვილი
დამნაშავენი და მათაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მა-
გრამ მათ მოასწრეს და თვით მოიკლეს თავი. რათ დაიღუპა
უდანაშაულო ადამიანი? გლუსკერი მეტათ მიაგავდა ერთ-ერთ
დამნაშავეს. ბიზოესკის ზატარა 10 წლის ქალმა უჩვენა სსა-
მართლამში, რომ გლუსკერი იყო ნამდვილათ. გლუსკერმა ვა-
ხანცადა, რომ იგი იმ დღეს 100 ვერსის მანძილზე მუშაობ-
და შემამულე ქალ გუსკვას მამულში და ამის დასმტკიცებლათ
რამდენიმე მოწმეც დასახელა. მოწმეებმაც დამოწმეს გლუსკე-
რის ნათქვამი, მაგრამ, სურედურთ, მოწმეები ებრაელები აღ-
მოჩნდენ და ამიტომ სსამართლამ არ დაუჯერა მათ; იგი და-
კურდნო 10 წლის ქალის ნათქვამს და გლუსკერს სიკვდილი
მიუსჯა.

ამ ამბავმა ააღმარა რუსეთის პრესა. ერთნი ამას სთვლი-
ან „საბედისწერო შემთხვევად“, მეორენი კი ამტკიცებენ, რომ
დღევანდელ პირობებში იგი „საბედისწერო აუცილებლობაა“.
გლუსკერის სსარგებლათ მის დამცველ ვეჩელ უსზენსკის ინი-
ციატივით ხელის მოწერა გაიმართა. ამ სავანზე „რეზ“-ის
170 №-ში სხვათა შორის ბ-ნი რადიჩევი შემდეგს ამბობს:
„განა იმ სსოვადლებს, რომელიც გასსრწველათ და სსიკვ-
დილათ არ არის განწირული, შეუძლია ამით (თუღონს მოკრე-
ბით) დამშვიდდეს? განა გლუსკერი და მისი ოჯახი არ ვა-
ვადებენ ჩვენ კადევ სხვა რამეს? განა იმათ სიკვდილს არ უნდა
მივაგებოთ რამე სხვა ხუგეში, კარდა თუღონს? ჩვენ უნდა
მოვსზოთ თვით ასეთ „შეცდომათა“ შესძლებლობაც! ოდონ-
დაც!—ვეტუვით ჩვენ.“

გადასახლება. როგორც გადასახლებულთა მმართვე-
ლობის მიერ გამოქვეყნებული ცნობებიდან ჩანს, გადასახლე-
ბულთა რიცხვი წინა წლებთან შედარებით არამც თუ არ იზრ-
დება, როგორც ამას ირწმუნებდა გადასახლებულთა მმართვე-
ლობა, ზირაქით შესამჩნევათ მცირდება. მიმდინარე 1910 წელს
გადასახლებულთა კამპანია დათავებულათ არ ჩაითვლება,
მაგრამ რადგან უმთავრესათ პირველ ხუთ თვეს ხდება გადა-
სახლება, მისი შედეგები გამორკვეულათ უნდა ჩაითვლოს.
ამიტომ თუ შევადარებთ ამ ხუთ თვეში გადასახლებულთა რიცხვს

1909 წლ. იმავე ხუთ თვეში გადასახლებულებს, დაინახავთ, რამდენხან იზრდება თუ მცირდება გადასახლება.

„ოჯახურათ გადასახლებულთა“ (იმ გლეხების, რომლებიც სამუდამოთ გადასახლდნენ ახალ ადგილზე) რიცხვმა 1909 წ. ზირველ ხუთ თვეს მიაღწია 435,835-მდე, 1910 წელს არ მიატოვია 233,773 სულს ორივე სქესისს. ამხარათ ოჯახურათ გადასახლებულთა რიცხვი 1909 წ. თითქმის ერთი ორათ მეტი იყო ვიდრე 1910 წ. ამასთან აღსანიშნავია, რომ უმთავრესათ შემცირდა თავისი ნებით გადასახლებულთა რიცხვი. 1909 წ. იყო 219 ათასი, 1910 წელს კი მხოლოდ 75,534. თითქმის ერთი სამათ შემცირდა. სკამათ შემცირდა აგრეთვე მთავრობის ლიცენზიურთხევით გადასახლებულთა რიცხვიც 216 ათასიდან 158 ათასამდე: შემოკლდა ერთ მეათედზე მეტით იმ გადასახლებულთა რიცხვიც, რომლებსაც არავითარი შიში არ მოკლათ: მათ კარგათ იცნან, რომ ადგილსაც მიიღებენ და აღმინისტრაციაც უფველმხრე დაეხმარება. ცოტა გაიზარდა 13 ათასიდან 17 ათასამდე მარტოხელა გადასახლებულთა რიცხვი, რომლებიც ძლიერ წააგვიანნ დროებით სამუშაოთ წასულ მუშებს.

შესამხნევათ შემცირდა 69 ათასიდან 28 ათასამდე ხელოვანების—ამ გადასახლებულთა წინამორბედების რიცხვი, რაც მასწავლებს 1911 წელს გადასახლებულთა რიცხვის უფრო მეტ შემცირებას. აქაც თავის ნებით წასულ ხელოვანების რიცხვმა უფრო თვალსაჩინოთ იკლო 48 ათასიდან 13¹/₂ ათასამდე. მთავრობის „ნება დართულ“ ხელოვანების რიცხვმა კი იკლო 21 ათასიდან 14¹/₂ ათასამდე.

ამ უფველმხრე შემცირებასთან ერთათ შესამხნევათ გაიზარდა უკან დაბრუნებულთა რიცხვი, 17 ათასიდან 23 ათასამდე. აქაც უფრო გაიზარდა 12—15 ათასამდე თავისუფალ გადასახლებულთა რიცხვი, რომელთაც აშკარა, ვერ იბუნეს ის, რის იმედიც ქონდათ. პრემიისრიცხვით კი უფრო გაიზარდა უკანდაბრუნებულ „ნებადართვიან“ ხელოვანების რიცხვი 4,978-დან—7,721, თითქმის 1¹/₂. ეს ციფრები მით უფრო საყურადღებო გახდება, თუ შავადებთ მხედველობაში, რომ 1909 წელს უკან დაბრუნებულთა რიცხვი შეადგენს გადასახლებულთა 3⁹/₁₀%, 1910 წელს კი 9⁸/₁₀%. თუ ამათ მივუმატებთ მარტოხელებსაც მაშინ უკან დაბრუნებულთა რიცხვი უდრის 1909 წ. 5⁷/₁₀%, 1910 წ. კი 14²/₁₀%.

აღმინისტრაციის ცდილობს მოიშოროს თავიდან უმკაცრო ფილო ელემენტები, აღუთქვამს მათ ოქროს მთებს და ამით ისტუმრებს უცხო ადგილებისაკენ. ზირველში უფრო გლეხობას გაიტაცა ამხარმა მხრეხველობამ. აღმინისტრაციის მიერ მოწოდებულ გადასახლებულებს კარდა დაიძრა უარყოფილი რიცხვი, რომლებიც უფრო გაჭირვებული იყვნენ, მაგრამ რომლებიც გადასახლება აღმინისტრაციისთვის მანდა და მანდა დიდ საჭიროებას არ წარმოადგენდა. ზოგი ასე თუ ისე შეეწეო ადგილობრივ ზირობებს; არც მინ იყო კეთილდღეობაში და აქაც შეურბდა თავისს ბედს. ზოგი კი იმედ გაცრუებული მიდის ისევ უკან. ზოგმა მათგანმა ადგილიც ვერ იშოვნა: მთავრობის განკარგულებაში დღეს არ მოიძებნება იმდენი თავისუფალი ადგილი, რომ ყველა მსურველი, დღევანდელი ზირიბიტოელი წესით მიწათ მოქმედი, თავისუფლება შეზღუდული და თვითმოქმედების მოკლებული, დააკმაყოფილოს.

სახლგარკართი.

ამერიკა. მაისის გასულს ჩიკაგოში მოხდა სრულიად ამერიკის სოც.-დემოკრატიული ჰარტიის სიეზდა, სადაც რამდენიმე საყურადღებო საკითხი გაიჩნა. დიდა ურადლება მიაქცია სიეზდმა საკითხს სხვა ქვეყნიდან გადმოსახლებულ მუშების შესახებ. ამ კითხვას უფრო ზრინციზაღური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჰარტიკული, რადგან იმიგრაცია (სხვა ქვეყნიდან გადმოსახლება) ამერიკული კანონმდებლობით უკვე შეზღუდულია, კანონმდებლობაზე სოც.-დემოკრატიის გავლენა დღესდღეობით მეტათ სუსტია: არც ერთი წარმომადგენელი სოც.-დემოკრატიის არა უფთ ფედერატიულ ჰარლამენტში. მიუხედავათ ამის ამ კითხვის გარჩევას სამა დღე მოანდომეს; ალბათ იმიტომ, რომ უკანასკნელმა საერთაშორისო კონგრესმა დიდა ურადლება მიაქცია ამ კითხვას, განსაკუთრებით შტეტ-გარტის კონგრესმა 1908 წ. ამ კონგრესზე ამერიკელი დელეგატები იმიგრაციის შეზღუდვის მომხრე იყვნენ. მათმა ამხარმა ზოზინამ ცხარე კამათი გამოიწვია, რადგან ჩრდილო ამერიკა უმთავრესი მხრეა, სადაც იმიგრაცია შესაძლებელია. ბოლოს ამერიკელმა დელეგატმა გალვეიტმა აზრი გამოიტყვალა და კონგრესის უმრავლესობას მიემხრო, რომ იმიგრაციის შეზღუდვის მოთხვნა სოციალიზმის საერთაშორისო ხასიათს არ შეეფერება.

არც უფრო იზდება ამერიკაში სოციალისტური მოძრაობა, მათ უფრო იღვიძებს სურვილი ვაწროთ დაუკავშირონ ერთმანეთს ჰარტია და ზროფესინონალური კავშირები, ეს უკანასკნელები კი თავისს მოვალეობათ სთვლიან დიდა წინააღმდეგობა გაუწიონ იმიგრაციას. სიეზდის მონაწილენი ერთის მხრით არ ივიწყებდენ ზროფეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას და მეორე მხრით აზგარიშს უწევდენ ზროფესინონალური კავშირების სურვილსაც. დიდა მნიშვნელობა ქონდა აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ამერიკელ ზროფეტარიატის და სოციალისტების გვარიახს ნაწილს შეადგენენ იმიგრანტები.

ამ გარემოებაში სიეზდის მონაწილენი ორ ბანაკათ გაჰყო. კომისიამ ორი მოხსენება შემოიტანა: უმრავლესობა თხოულობდა აზიელი მუშების იმიგრაციის სრულს აკრძალვას. ჩვენ რასას ურადლებას არ ვაქცევთ, ამბობდა უმრავლესობა:—მაგრამ აზიელები—ჩინელები, იანონელები, კორეელები, ინდუსები, — კულტურის მეტათ დაბალ საფეხურზე დგანან, მათი ჩათრევა ზროფესინონალურ და სოციალისტურ მოძრაობაში შეუძლებელია.

შემცირების თანხმდებოდა, რომ ამერიკელ მუშებს უფლება აქვთ აკრძალონ აზიელების იმიგრაცია, თუ ისინი რამე ვნებას მიაყენებენ მათ. მაგრამ ჯერ-ჯერობით იმიგრაცია სუსტია, საფრთხე არაფერი მოგვედის და ამის შესახებ დადგენილების გამოტანა სოციალისტური ჰარტიისათვის საჭიროებას არ წარმოადგენს. ბოლოს სიეზდმა მიიღო გალვეიტის რეზოლუცია, რომლის თანხმათ სიეზდა წინააღმდეგია შტრეიკებურების და იმ მუშების იმიგრაციის, რომლებსაც წინაწინ ხელშეკრულობა აქვთ დადებული მწარმოებლებთან. რეზოლუცია წინააღმდეგია, რასიული ან ნაციონალისტური მისაზრებით შეზღუდულ იქნეს იმიგრაცია და მომხრეა, რომ



შუეტუბული შტატები დარჩეს ეფექტურად დევნილ ერგონებისთვის თავშესაფარად.

შეორე საყურადღებო კითხვა რამდენად სიეზდზე გაიძინა იყო აგრარული საკითხი. საქმე იმაშია, რომ დიდ ძალას წარმოადგენენ ამერიკაში ადგილობრივი ზონების გამო წერილი მესაკუთრე მიწათმფლობელი — ფერმერები. მათი მიზნობის სურვილმა ისე გაიტაცა სოც.-დემოკრატების ობორტუნისტული ნაწილი, რომ მზათ არიან თავისი პრინციპებისაც კი უღალატონ. ფერმერების მეტი წილი დღეს კარგ მდგომარეობაშია, მით უფრო რომ უკანსკენელ წლებში მიწისა და სასოფლო სამუშაოების ნაწარმების ფასმა აიწია. მართალია, ფერმერები უკმაყოფილონი არიან რეინის გზის ტარიფებით, ბირჟების და კომერციული შუამავლების მოხურებით, მაგრამ ამ უკმაყოფილებიდან სიცალიზმამდე დიდი მანძილია. არაფერი მათ არ აიძულებს, რომ კერძო საკუთრების წინააღმდეგ იმტყმოდნ. ამერიკელი ობორტუნისტები ხედავენ, რომ ფერმერები არ გასცდიან სტრუქტურის, ამისთვის თვითონ აზრობენ მათ თვალთახედვის ისრზე დადგომას. რაკი ფერმერები თავის ფერმებს არ დასთმობენ, მაშ ხვენ მივეტებთ მათ სურვილს და ხვენს პრეგრამაში ფერმების კერძო საკუთრებად დატოვებას საგადაღებულთ ვაღიაროთ. შემარცხენე ფრთა ამ ნაირათ პრეგრამის შეცვლის დიდი წინააღმდეგი გახდა. ხვენ უკვე ვაქვს ერთი პრეგრამა — რამდენად მოითხოვს მიწის ნაციონალიზაციას და სხვა-და-სხვა ჯგუფების სისამაფრით პრეგრამის შეცვლა ხვენთვის შეუძლებელია. დიდი ხნის კამათის შემდეგ კითხვა გადაუჭრელი დატოვეს, მსოფლიო წინათ არჩეულ კომისიას რამდენიმე წევრი კიდევ მიუმატეს კითხვის უკეთ შესასწავლათ.

მესამე საყურადღებო საკითხი, რამდენად სიეზდმა გარჩინა, იყო ქალთა საკითხი. აქაც ორგვარმა მიმდინარეობამ აჩინა თავი. ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ქალთა კითხვა არის კითხვა კლასობრივი, და არა სქესობრივი, ამიტომ საზოგადო მუშათა კითხვიდან ქალთა კითხვის გამოყოფა არამც თუ შეუძლებელია, მაგნებელია. პირიქით შეორენი ამტკიცებდნ ქალთა კითხვა სრულიად დამოუკიდებლათ არსებობს, და ქალთა მოძრაობა ისევე დაეხმარება მუშათა მოძრაობას, რეგორც მუშათა მოძრაობა ქალთა მოძრაობას ეხმარება. ამ კითხვაში სავსებით გაიმარჯვა ობორტუნისტმა. მას ხელი შეუწეო იმ გარემოებაშიც, რომ მკერვალ ქალებს გაფიცვის დროს ნიუიორკში და ფილადელფიაში დახმარებას უწევდნ წმინდა არისტოკრატული წრეები, მილიონერების ცოლები და ქალები სოციალისტ-ავიტატორებთან ერთათ ხელს უწეობდნ მკერვალ ქალების გამარჯვებას.

ავსტრია. ავსტრიის მთავრობა იძულებული გახდა რეინსტის სსდმები შეეწვიტა, რადგან ობსტრუქციონისტებმა ეფექტური მუშაობა შეუძლებელი გახდა. ობსტრუქცია გამოიწვია შემდეგმა გარემოებაში. ავსტრიის ქვეშევრდომი იტალიელები დიდი ხანია თხოულობდნ იტალიური უმადლესი სასწავლებლის დაარსებას ტრიესტში. მთავრობა ვერ ბედავდა, რადგან ეშინოდა იტალიელების ირიდენტისტული მოძრაობის. რომ გამოეჩვენათ, რამდენათ საშიში იყო ეს მოძრაობა, მთავრობა დათანხმდა დროებით ოთხი წლით დაეარსებინა ვენის უნივერსიტეტში იტალიური იურიდიული ფაკულტეტი. იტალიელი დე-

პუტატები დათანხმდნ, მაგრამ ამ ზომის გაუწიეს დიდი წინააღმდეგობა სლავონებმა. მათ გააცხადნ, რომ დავთანხმდებით ამ ზომის, თუ ამავე დროს ზავების (სერბიაში) უნივერსიტეტის დიპლომის ავსტრიის უნივერსიტეტის დიპლომის გათანაბრებენ, პრავისა და ლეგვის უნივერსიტეტში დაარსებენ სლავონთა ენაზე ეველა იურიდიულ და სახელმწიფო საგნების კათედრებს, თუ მთავრობა პრეობას მისცემს, რომ არ უკვიანას ათი წლის ლიუბლინიში გაიხსნება იურიდიული და საღმთისმეტყველო ფაკულტეტი, სადაც სწავლება სლავონთა ენაზე უნდა იქნეს. მთავრობა არ დათანხმდა და სლავონთა დეპუტატებიც შეუდგნ ობსტრუქციის საბიუჯეტო კომისიაში. დეპუტატმა გოსტინგარმა ილაზარაკა შეუწვეტლივ მთელი დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე და შემდეგ 30 შესწორება შეიტანა იტალიური ფაკულტეტის კანონ-პროექტის შესახებ. მისმა ამხანაგებმა სხვა შესწორებები მოამზადეს. ამხანაგმა საქციელმა მთავრობა აიძულა რეინსტის სსდმები შეეწვიტა.

ტუსადის სიმღერა.

სად ხარ დედავ! ჩემო დედავ,
შენთან მინდა ვიყო შეილი,
მაგრამ ნდომას უღვთოთ მიკლავს
სულთა მხდელი ეს ბორკილი!

სად ხარ სატრფოვ! სულის მეფავ,
ნეტავ მამცნო შენი ბინა,
შენს მაგიერ მოჩურჩულეთ
ბორკილია ჩემთან... რკინა!


სად ხარ მთვარევ! მომციხარევ,
ვინ მომწვეტა შენსა სრიალს,
გაქვეცი განა შენაც
ამ ბორკილის უნდო ჩხრიალს?!

სად ხარ ტალღავ მონავრდევ,
თავისუფალ ზღვისა შეილო!
ნუ თუ მარად შენს მაგიერ
ბორკილს უნდა ვემობილო?!

სად ხარ შენაც, მოკეკლ-უცე
ტურფა იავ, გულ-მკერდ ღია!
ხომ შენვე ფლოზ შენს მშვენებას,
ბორკილს არსით წაუღია?!

თქვენ გეტრფ-ღათ! სიყვარულით
მაგონდებით აწიც კადე...
მაგრამ თქვენგან შორს რათა ვარ
ამ ბორკილის გადამკიდე?!

ბ. ლ. ჩხუშული.



რუსულის უცოდინარი.

ნოტარიუსის კანცელიარიის მოხელემ ივან ივანიჩ ივანოვიძე მეტათ ადრე გაიღვიძა. მიზეზი იმის ადრე გამოღვიძებისა ორჯერ ზედი-ზედ ცხვირის დაცემინება იყო. ივან ივანიჩს ბევრი აღარ უფიქრია, გახარებულა მივარდა მძანარე ცოლს, გვერდში წაქრა მუჯლუგუნნი და გამოაღვიძა.

— დღეს ჩვენი საქმე კარგათ არის... უსათუოთ იქნება.

— სიზმარში ნახე?—თკალების ფშენებით შეეკითხა ცოლი.

— არა, ორი ცხვირი მოვიდა ლოგინშივე. ამაზე კარგი ნიშანი არ შეიძლება. ამ ბაასის შემდეგ მალე ცოლქმარი გამოწყობილები შემოსხდომოდენ სასადილო სტოლს და ჩაის შეექცეოდენ. პატარა ხმაურობაც საქმარისი იყო, რომ ცოლი და ქმარი ზეზე წამოჭრილიყვენ და რაღაც სასიამოვნო ამბისთვის მომზადებულიყვენ მაგრამ პირველ ხმაურობაზე წამომბტარებმა დაინახეს მერძვე დედაკაცი. სრულიად დაავიწყდათ, რომ ბავშვს რძეს ასმევდენ და ყოველ დილით დედაკაცისაგან რძეს იღებდენ. მეორე ხმაურობაზე მისარეცხე დედაკაცი მოვიდა, ის დაბარებული ყავდათ სადღესოთ. მესამე ხმაურობაზე მეფხოვეს ეზოს დავის დროს მათს სახლში შესავალი კარებისათვის ცოცხის ტარის თავი მოერთყა და ეს მოვლენა გამხდარიყო მათი ოცნების აღმაფრენის მიზეზად. მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ მათი იმედების ამ ხანად ფრთის შემკვეცკლად მეფხოვის მოურიდებლობა გამხდარიყო, ივან ივანიჩმა საბრაზით აღარ იცოდა რა ექმნა და საბრალო მეფხოვე უზომოთ გამოილანძლა. დრო გადიოდა და ივან ივანიჩს სულის სიმშვიდე ეკარგებოდა.

— რა ამბავია, რომ აქამდის არავინ არ მოდის? დღეს მთელმა დღემ რომ ასე გაიაროს, ხვალის იმედი საიდან ლა უნდ მქონდეს?

ბევრი ფიქრის შემდეგ ივან ივანიჩმა გადასწყვიტა, თუ აქ მოვა ვინმე, ჩემი ცოლიც დახედება, მე კი სამსახურში წავალ, იქნება იქ გამოვიდეს რამე. ასე იფიქრა და მალე შეასრულა კადეც. მისცა ცოლს საქირა დარჩება და თვითონ გაეშურა სამსახურისაკენ. სამსახურში იმაზე ადრე სამი თუ ოთხი სხვა მოხელე მისულიყო და თავთავიანთ სტოლებს მისხდომოდენ. ივან ივანიჩი თავჩაღუნული მივიდა კანცელიარიის კარებამდე, იქ კი შეჩერდა, თავი მალა ასწია და მთხოვნელება აათვალ ჩათვალღერა. მათ შორის იცნო მემპუღლე სოლომონ აბდუაშვილი. ჩაიღმა ერთი და გასწია თავის სტოლისაკენ. გული სააურათ უტოკავდა, ძაღლონის მომატებას გრძნობდა, და სისხლის მძლავრათ დენას ამჩნევდა.

— ეს უნდა იყოს დღევანდელი ორი ცხვირის მახვერბლი.— იფიქრა ივან ივანიჩმა და ერთხელ კიდევ შეხედა სოლომონს.

სოლომონ აბდუაშვილი კი სახე გაფხვირებული შეყურებდა ნაცნობ მოხელე ივან ივანიჩს, მისგან ელოდა ხსნას და ცხოვრების იმედი უღვივდებოდა. კაი ხანია გადასწყვიტა მან მამულის ერთი ნაწილის გაყიდვა, რომ მეორე ნაწილი ბანკის ვალისაკან გაენთავისუფლებინა და აი, სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ დღეს დილით ოთხ საათზე წამომდგარიყო ლოგინიდან და აივანზე ბოლოს სცემდა, თან მომავლის მოქმედების გეგმას იმუშავებდა.— მუშტარი კარზე მომადგა და თუ ახლა ვერ მოვახერხე გაყავა, მთელი მამული ხელიდან წაივია. ნეტავ ასე მაინც არ მაჩქარებდენ ჩემი მუნტრები! თუ ორ დღეზე არ მოხერხდა შენი მამულის ყიდვა, დათიაშვილის მამულს ვიყიდოთ. არა, თუ მართლა ორ დღეში ვერ მოვახერხე, სულ მთლათ დავიღუბები და ცოლშვილი ულოკმა-პუროთ დამჩება. იქნება გახეთშიც კი გამლანძღონ, მაშლა უცხოელებს რათ მაყიდაო, მაგრამ იმათ ლაპარაკს ყურს ვინ უგდებს! დამხდარან მშვენიერ ოთახებში, ერთი ციდა მამული არ გააჩნიათ და ლათაიას გვიმღერიან, არ გაყიდოთო! ბატონებო, აბა გვიბრძანეთ, მაშ რა გზით შევიწარუნოთ მამული, როდესაც ყელამდე ვალებში ვართ და ბანკიც გვახრბობს? რა იციან, რა ძნელია მამულის მოვლა და შეწარუნება! ქართველებს მიყიდეთო, სულელები! ქართველს განა შეუძლია მამულის ყიდვა? რა გააჩნია, რითი უნდა იყიდოს? ისინი დღიურში ხუთ თუმანს იძლევიან, უცხოელები კი ათი შაურით მეტს. ასი დღიური ხუთ თუმანს დაიქვრს. ესეც ფულია. მაინც და მაინც იმათ ლაპარაკს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. წავალ დღეს, უფროს ნოტარიუსის კანცელიარიის შევეხვეწები ჩემს ნაცნობ, ჩინოვნიკს, ივან ივანიჩს, ჩქარა გამოკეთოს ქალაქი და დღესვე გაეჩარხავ საქმეს. მანამ კი შევივლი ეგნატე ნამსახურიძესთან და ერთ კაი არხას დავაწერინებ.— იფიქრა სოლომონმა და აივანის კიბეზე ხტუნაობით ჩაირბინა. ჯერ ხუთი საათიც არ იქნებოდა, სოლომონი ნამსახურიძის სახლის შესავალ კარებს მიაღვა და თავგანწირვით დაუწყა რახუნი. ნამსახურიძეს შვილი სტუდენტი ყავდა და ასე უდროვო დროს რომ კარების რახუნი შემოესმა, შეშინებული წამოხტა, ევონა დებეშა და ვაი თუ შვილის უბედურების ამბავი მომიტანაო. გაფთრებული მიიქრა კარებთან და რა დაინახა სოლომონ აბდუაშვილი, უსიამოვნოთ ჩახველა და სთხოვა ოთახში შესვლა. თვითონ გაეშურა ტანისამოსის ჩასაცმელათ და ათი წუთის შემდეგ დაბრუნდა.

— ბ. სოლომონ, ესე ადრინ რათ გასჯილხართ. ხომ არაფერი მოგიხდათ სახლში?— შეეკითხა ეგნატე, თუმცა მისი ასე ადრე მოსვლა არ ესაიამოვნა.

— არაფერი, შენი ჭირამე, ერთი არხა უნდა დამიწერო. მე ვიცი, რომ შენზე კარგათ არავინ დამიწერს, შენ ნამსახური კაცი ხარ, გამოცდილი და ამიტომ შენ მოგმართე. გასამრჯელოში ნუ დამერიდები.

— რა არის ვგრე საჩქარო?— შეეკითხა ეგნატე.

— მამულსა ვყიდი და უსათუოთ დღესვე უნდა გამოვიტანო ქალაქი, თორემ მუშტარს დავკარგავ და დავიღუბები.



— კარგი, ეგ თხოვნა ცოტა საფიქრებელია და ასე უცებ დაწერა, როგორ შეიძლება? უკეთესი იქნება ერთის საათის შემდეგ შემოიაროთ.

— არა, შენი ჭირიმი, ეგნატე, ახლავ დამიწერე, ნუ დამღუბავ. შენ რომ მოინდომო, ათ მინუტში ისე თხოვნას დამიწერ, რომ ქვას გახეთქს.

კიდევ დიდხანს ივაჭრეს სოლომონმა და ეგნატემ. ეგნატე თხოვნის დაწერის სიძნელეს აზვიადებდა, სოლომონი კი, მართალია, დაწერის სიძნელეში ეთანხმებოდა, მაგრამ მეტათ ეჩქარებოდა და სთხოვდა, მაშინვე დაეწერა. ეგნატე დასთანხმდა, ხუთ მანეთათ დაეწერა თხოვნა და მართლაც, ათი წუთის შემდეგ სოლომონმა მიიღო გამზადებული არზა და აჩქარებულის ნაბიჯით გაემართა უფროსის ნოტარიუსის კანცელიარიისაკენ. იქ პირველათ აიტუზა კარებთან და მოხელეების მოლოდინში სული ეხუთებოდა. თითქმის ორი საათი გავიდა რაც ბ. სოლომონი კარებთან უცდიდა, მუხლებში ჩაწყდა და გულმა საშინლათ დაუწყყო ფთხრაილი. „ვიღუბები, არ მოდიან!“ — გაიფიქრა მან და მოხელეები კიდევ გამოჩნდნენ... მადლობა ღმერთს, ჩემი საქმე კარგათ მიდის. — გაიფიქრა იმან და პირველად მასულს მოხელეს, მძიმედ თავის დაკვირვ, თხოვნა გაუწოდა. მოხელემ კი, მოკლეთ უპასუხა, ჩვენ თხოვნებს არა ვღებულობთ, ნოტარიუსს მიეცით. ასევე მოექცა სოლომონი მეორეს, მესამეს, მეოთხე მოხელეს და თვით ივან ივანიჩსაც, მაგრამ ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო, ნოტარიუსს მოუცადეო. თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც თვით ნოტარიუსიც მობრძანდა და სოლომონმა, თუმცა ის ვერ იცნო, მასაც თხოვნა გაუწოდა და გულმოდგინეთ სთხოვა საქმის წარმოების დაჩქარება. ნოტარიუსმა ოცდა ორი მანეთის მარკები მოსთხოვა, რომელიც სოლომონმა დაუყონებლივ გადასცა, თხოვნაზე რაღაც წააწერა და ივან ივანიჩზე მიუთითა. სოლომონი განარბებული გაეშურა თხოვნით თავის ნაცნობ ივან ივანიჩისაკენ და ხვეწნით მიმართა:

— ივან ივანიჩ, შენი ჭირიმი, ეს საქმე ჩქარა გამიკეთე და სამი დღე და ღამე «პერვოკლასნი» ბუფეტში გაქეიფებ.

ივან ივანიჩი საქართველოში დაბადებული რუსი იყო და ქართული კარგათ იცოდა, მაგრამ კანცელარიაში სამსახურის დროს ქართულათ არავეს ელაპარაკებოდა.

— **Надо ждать!** — უპასუხა ივან ივანიჩმა ისე, რომ თავი მაღლა არ აუღია და წინ გადაშლილ უშველებელ დავთარისათვის თვალი არ მოუშორებია.

— **Хорошо!** — ჩაურუსულა სოლომონმაც და კედელზე მიდგმული გრძელი სკამისაკენ გაეშურა.

სოლომონს რუსული ენა ესმოდა, ლაპარაკი კი არ იცოდა. რისთვის მითხრა მოიცადეო, აღბათ ერთი საათის შემდეგ გაძიკეთებს; იფიქრა სოლომონმა და გულ დაარხენებულ მთელი საათის განმავლობაში შიგ თვალეში შეყურებდა ივან ივანიჩს. ივან ივანიჩს კი ერთი წუთითაც არ გაუხედნია იქითა მხარეს, საითაც სოლომონი იჯდა, იმის თხოვნა კი გვერდზე ქონდა გადადებული და ხელის მოკიდებას ერიდებოდა.

სოლომონი სიმშვიდეს თანდათან ალღევებული ხან ივან ივანიჩს შეყურებდა და ხან თავის არზას. მოაჩვენა დაკარგული სოლომონი მიაქრა ივან ივანიჩთან და შემხარავის კალოთი შესთხოვა:

— ივან ივანიჩ, შენი ჭირი...

— **Надо ждать!** — იმავე კალოთი მიაძახა ივან ივანიჩმა და ახლაც თავ აუღებლივ.

— შენი ჭირიმი, ივან ივან...

— **Говорить, надо ждать!** — ხმის მომატებით მიაძახა ივან ივანიჩმა.

— **Хорошо!** — შეშინებული სოლომონი, მოკაკული, ფეხ-აკრეფით ისევ თავის ადგილას გაემართა და დაღონებული სახით, თავ-ჩაქინდრული დაეშვა დასაჯდომათ. აგერ ორი საათია და სოლომონის თხოვნა ისევ ისე უძრავათ გდია სტოლზე და საქმე არ კეთდება. საათმა ორი დარეკა და სოლომონი უფრო აღელდა, სკამიდან წამოიჭრა და აჩქარებული ნაბიჯით მივიდა ისევ ივან ივანიჩთან.

— ნუ დამღუბავ, ივან ივანიჩ! მიშველე რამე და გასამრჯელოს მოგართმევ.

— **Надо ждать!** — გაისმა ისევ ის პასუხი.

სოლომონს თავში გაუელვა წასულიყო ეგნატესთან და თან მოყვანა რათა იქნება მას მაინც გაერიგებია საქმე. ის უცებ მოტრიალდა ივან ივანიჩის სტოლიდან, აიღო გრძელი სკამიდან ქუდი და გასავალ კარისაკენ გაეშურა.

ათი წუთის შემდეგ სოლომონი ეგნატეს წინ იდგა და დაღვრემილი ეხვეწებოდა.

— შენი ჭირიმი, ეგნატე, მიშველე რამე. ის ოჯახ დაქცეული ივან ივანიჩი სულ ერთსა და იმავეს გაიძახის: **Надо ждать!** ღმერთმანი არ ვიცი რამდენი ხანი უნდა ვუცადო იმ ოცას დაქცეულს.

— მერე რატომ არაფერს აძლევ? საქმის გაკეთება გინდა და ფულის მიცემა კი არა? ეგ როგორ იქნება!

— ფულს არა მთხოვს, კაცო. — გაკვირვებით შეყურებდა სოლომონი. — მოიცადეო, **Надо ждать!** — ო.

— **Надо жь дать!** — ო, უნდა მომცე რამეო, განა ლოდინს გეუბნება. გადაუთარგმნა ნამსახურიძემ, — წაღი, სამი ან ხუთი მანეთი ხელში ჩაუდევ და საქმეს გაგიკეთებს.

— ეგრე ეთქვა იმ ოჯახ დაღუბულს, რაღას მაცდევინებდა. — ჩაილაპარაკა სოლომონმა და ცუქცუკით გაეშურა კარებისაკენ.

მაღე სოლომონი გეჩნდა ნოტარიუსის კანცელიარიის წინ და შიგ შესვლა უნდოდა, მაგრამ ყარაულმა უთხრა, აღარავინ არის სამსახურში, ყველანი წავიდნო.

სოლომონი გულ-დამშვიდებული გაეშურა სახლისაკენ, ხვალ დილით ივან ივანიჩს ერთ ხუთ მანეთს ჩავუდებ ხელში და საქმე გაიჩარებნაო.

მეორე დღესაც სოლომონი ყველაზე ადრე მივიდა ნოტარიუსთან და ცოტა ლოდინის შემდეგ ივან ივანიჩი ინახულა.

— დილა მშვიდობისა, ივან ივანიჩ! — თავის დაკვირვთ მოახსენა სოლომონმა და ხელი გაუწოდა. ივან ივანიჩი



მიხვდა რაშიც იყო საქმე და თვითონაც ხელი გაუწოდა. ხელის ჩამორთმევის დროს სოლომონმა ჩუმად ხელის-გულზე მიკრული, ოთხათ მოკეცილი ხუთ-მანეთიანი გადასდო ივან ივანიჩის ხელში და თვალი თვალში გაუყარა. ივან ივანიჩმა ხელი სტოლის ქვეშ ჩაყო, დახედა ხელის გულს, იცნო ხუთიანი და ისევ თავჩაღუნულმა უბასუხა:

— Надо доложить!

ნეტავი ახლა რაღას მეუბნება? ვკითხვ ვინმეს აქ მყოფს, იქნება იმათ ამხსნან.—იფიქრა სოლომონმა და მიუბრუნდა ერთს მთხოვნელთაგანს.

— შენი ჭირიმე, რას მეუბნება ეს ჩინოვნიკი, რუსული კარგათ არ მესმის.

— უნდა მოვასხენოო,—მიუგო მთხოვნელმა.

— მადლობა ღმერთს, ახლა კი გაიჩარხება საქმე — იფიქრა სოლომონმა და გაეშურა დასაჯდომათ იმ ადგილისაკენ სადაც გუშინ იჯდა. საქმე არ კეთდებოდა და სოლომონს სული ეხუთებოდა. აგერ პირველი საათია და საქმე კი არ გაკეთებულა.

— ივან ივანიჩ! მიშველე რამე და მალე მოახსენე, დღეს თუ არ მივიღე ქალაღი, დავიღუპე და ეგ არის.

— Надо доложить! — იმავე კილოთი უბასუხა ივან ივანიჩმა.

სოლომონს ბევრი აღარ უფიქრია, გამობრუნდა სკამისაკენ, ამოიღო უბის წიგნი და კარანდაში, ჩაწერა შიგ ქართულის ასოებით „ნაღო დოლოჟიტ“ და გასწია ეკნატესაკენ ასახსნელათ.

— ეგნატე-ჯან! მიშველე შენი ჭირიმე, კიდევ არ მიკეთებს საქმეს...

— რას ამბობს? შეეკითხა ეგნატე.

— რა ვიცი, რას ამბობს! Надо .. სოლომონმა უბეში ხელი ჩაყო, უნდოდა წიგნი ამოეღო და წაეკითხა ჩაწერილი რუსული სიტყვა, მაგრამ ეგნატე დაეხმარა:

— Доложить-ო!

— დიახ, დიახ! დოლოჟიტო!

— მერე რატომ არ უმატებ? ალბათ ცოტა მიგიცია და გეუბნება დაუმატო.

— რას ამბობ კაცო, რის დამატება, იქ მითხრეს, ამბობს უნდა მოვასხენოვო.—გაკვირვებით უბასუხა სოლომონმა.

— არ სცოდნიათ. წადი დაუმატე რამე და საქმე გაიჩარხება.

სოლომონს ბევრი აღარ უცდია. გაეშურა ნოტარიუსისაკენ, შეასრულა ეგნატეს დანაბარები და ერთი საათის შემდეგ გაჩარხა საქმე.

ვინმე ხანი.

დროებით ვალდებული გლახები. 1)

I

ჯერ უნდა დაწვრილებით შევისწავლოთ გლახთა რეფორმის ისტორია კავკასიაში და აგრეთვე ის, რაც ცვლილებები გამოიწვია ამ რეფორმამ გლახთა ცხოვრებაში, რომლებსაც ეხლა საქართველოში „დროებით ვალდებუ-

ლებს“ ეძახიან, და სომეხ-თათართა პროვინციებში „დამოკიდებულ მოსახლეებს“, და მხოლოდ მაშინ შევსძლებთ, სისწორით გადავტრათ ის კითხვა, რომელიც ჩვენ წინ არის დასმული, — კითხვა ამიერ კავკასიაში გლახების მემამულეებთან სავალდებულო დამოკიდებულების ლიკვიდაციის შესახებ.

ეგრეთ-წოდებულ გლახთა რეფორმას კავკასიაში სრულიად არ ქონია მიზნად მიენიჭებია გლახებისათვის თავისუფლება და კეთილდღეობა. პირიქით ამ რეფორმას უნდა გაემაგრებინა მხარეში ბიუროკრატის პოლიტიკური ბატონობა, რისთვისაც მან მემამულეებს დაუკაბალა გლახთა მშრომელი მასსა (ამითი უნდოდათ, როგორც ოფიციალურ ქალაქებში იყო ნათქვამი: „შემესუბუქებინათ მხარის მართვა გამგეობა“) და ამასთანავე უნდა დაემკვიდრებინა მსხვილი ბატონური მეურნეობა, რომელსაც ესაქიროებოდა მუდმივი იაფი მუშა-ხელი. ამ რეფორმამ ფიქტიურათ გლახები ბატონებისაგან გაათავისუფლა, ნამდვილათ კი შექმნა რთული სისტემა, რომელმაც ყოველმხრივ პოლიტიკურათ და სოციალურათ დაუმონავე მშრომელი მასსა გაბატონებულ წოდებებს და მფლობელ კლასებს.

დროებით ვალდებულ გლახებს რეფორმის მიერ გამოწვეული დამოკიდებულება უფრო მძიმე ტვირთად დააწვა, ვინემ ეს ბატონ-ყმობის დროს იყო. გლახის ეხლანდელი დამოკიდებულება მემამულისაგან უფრო წოდებრივი ხასიათისაა და არა ინდივიდუალურის, როგორც ეს წინათ იყო. ეხლა თავად-აზნაურობას ხელთ უპყრია იარაღი, რომლის შემწეობით ყოველმხრივათ დაიმორჩილებს გლახებს,—ეს იარაღია ერთი მხრით მომრიგებელი შუამავლები, რომლებსაც გუბერნატორი ირჩევს მემამულეებიდან და მეორე მხრით სოფლის მოხელეები. წინათ კი, ძველი ბატონ-ყმობის დროს, გლახს დამოკიდებულება ქონდა თითოეულ მემამულესთან, რომელსაც ყოველთვის მუქათათ არ ჩაუვლიდა ზედმეტი მოთხოვნილებები. მერე კიდევ ძველი ბატონ-ყმობის დროს გლახს შეეძლო მიეტოვებია ერთი მემამულე და გაქცეულიყო მეორესთან. ეხლა ეს გაქცევა ფაქტიურათ შეუძლებელი შეიქნა. პოლიციის ორგანოები „ვალდებული არიან იზრუნონ გაქცეულების და უპასპორტოების დაჭერის შესახებ“. ამას გარდა, დღეს მემამულეები ვალდებული აღარ არიან ძველებურათ იზრუნონ დროებით ვალდებულ გლახების კეთილდღეობაზე: დაეხმარონ გლახებს...

დროებით ვალდებული გლახების მდგომარეობა გაუარესდა სხვა-და-სხვა სამხიმო ბევრის და გადასახადების შემოღებით: სამხედრო ბეგარა, საგზაო ბეგარა, სავალდებულო საერო ბეგარები (სოფლის სამმართველოს და სასულიერო წოდების შენახვა, საპასპორტო გადასახადი, ურომლისოთ წასვლა არსად არ შეიძლება, სახელმწიფო გადასახადი და სხვ...)

1) 15 დეკემბერს, 1908 წ. სახელმწიფო დუმის სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ, ჩხეიძისა და გეგეჭკორის მეთაურობით, ეს 34 წევრის ხელმძღვანელი კანონ-პროექტი შეიტანა დუმაში ამიერ კავკასიის მხარეში მემამულეებთან სავალდებულო გლახების დამოკიდებულების ლიკვიდაციის (მოსპობის) შესახებ.



რომ გლახობა რეფორმის მიზნად ქონდა მსხვილი ბატონური მეურნეობის პირდაპირ მწარმოებლებზე გაბატონება, ამ ბატონობის მოწყობა, სისტემაში მოყვანა და დამკვიდრება ერთი მხრით და ბიუროკრატიის ძალის გამაგრება კავკასიაში მეორე მხრით, ეს იქიდანაც ჩანს, რას აცხადებდნენ რეფორმის ხელმძღვანელნი და რა ზომებს მიმართეს (ან და რა ზომებით მოქმედებდნენ რეფორმამდე) გლახობა კითხვაში.

ეს განცხადებები და ზომები ექვს გარეშე ყოფენ, რომ ბიუროკრატისა და მებატონეებს უნდოდათ, როგორც ისინი ოფიციალურ ქალაქებში გაიძახოდნენ, მოესპოთ იურიდიული ან ფაქტიური დამოკიდებულება გლახებსა და ფეოდალებს შორის.

პრივატიზაციონტი ჯავახიშვილი მოგვითხრობს რა მეცხრამეტე საუკუნის მეორე წლების საქართველოში აგრარული მოძრაობის ამბავს, აღნიშნავს, რომ თუმცა ეს მოძრაობა გამოიწვია მებატონეების გლახებისადმი უდიერმა მოქცევამ და გლახთა ბევარების სიმძიმემ, მთავრობა მაინც არ აქცევდა ყურადღებას გლახთა ინტერესებს და რომ ყოველგვარი მათი პროტესტი დაეშოთ, უფლება მისცეს ქართულ მებატონეებს თავისი გლახები სალდათად გაეგზავნათ, ან და გადაესახლებიათ. 1842 წელს კი თავ. ჩერნიშევი ადგილობრივი ადმინისტრაციისადმი გამოსცა ცირკულიარი, სადაც მას უბრძანებდა ქართველი გლახები მებატონეებისადმი ხმაამოუღებელივ მოჩივლებაში ყოლოდა, და ყველას, ვინც კი სცადა, ეს განკარგულება არ შეესრულებია, სამხედრო ეკზეკუციებით აგრძობინეს, რა გულწრფელათ სურდა გლახების განთავისუფლება ბიუროკრატისა და მებატონეებს (ჯავახიშვილი. სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში 19 საუკ.)

ეგზეკუციის, რასაკვირველია არ შეეძლო შეეჩერებინა ქართველ გლახების ლტოლვილება თავისუფლებისადმი. ამის გამო, როგორც გვიამბობს თავის კაპიტალურ ნაწარმოებში—ნახევრათ ოფიციალურ „კავკასიის მართვა-გამგეობის შესახებ ისტორიულ წერილ“-ში ბ. ესაძე, —ნამესტნიკმა თავ. ვორონცოვმა ბრძანება გამოსცა, დანამდვილებით გამოეკვლიათ, რა მიზეზი იყო, რომ მთავრობის ზომებს, რომლებსაც გლახების თავისუფლებისადმი ლტოლვილება უნდა შეეზღუდნა (რასაც თავად-აზნაურობა სთხოვდა), ასეთი მცირე ნაყოფი მოქონდა. ამის პასუხად უმთავრ. მმართველ. უფროსმა ბ. ლადინსკიმ წინადადება მისცა, გაეხორციელებინა თავად-აზნაურობის თხოვნა და „1846 წლიდან სრულიად აკრძალა „თავისუფლების ძებნის შესახებ საქმეთა წარმოება“ იმ გლახებისათვის, რომლებიც 1842 წლის კამერალურ აწერილობით „უცილოთ ეკუთვნიან რომელიმე მებატონეს“. თავადმა ვორონცოვმა ეს წინადადება მოიწონა. (Истор. записка стр. 303).

იმავე ბიუროკრატის უფლების გასამაგრებლათ და არა გლახების თავისუფლებაზე ზრუნვის გამო, 1838 წ. კავკასიის მთავ. გამგ. გოლოვინმა გადალახა არსებული სახელმწიფო ძირითადი კანონებიც კი, რომლის ძალითაც

აკრძალული იყო მუსულმანებს, კერბთ-თაყვანისმცემების და სახელმწიფო მოღალატეებისადმი გლახების ყმად მიცემა. სახელდობრ, ამ გოლოვინის ბრძანებით 1838 წელს ამიერ კავკასიის ლეკების განკარგულებაში გადავიდა მათი ყოფილი ხელქვეითების ინვილოვების და მუნგალების (ერთი ნაწილი მათგანი ქრისტიანებია) შემოსავალი. ეს ხელქვეითება გაათავისუფლეს ლეკების ბატონობისაგან 1831 წელს, როცა ამა უკანასკნელებმა აჯანყება მოახდინეს, ეხლა კი შვიდი წლის შემდეგ ხელმეორეთ დაუბრუნდნენ...

ასე მოქმედებდა კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია. რასაც ის პირდაპირ აცხადებდა, ისიც სახსრებით ეთანხმებოდა მის მოქმედებას გლახთა თავისუფლების შესახებ.

იგივე თავ. ვორონცოვი, ეს კავკასიელთა მშრომელი ნაწილის ბოროტი გენი, მეცადინეობდა, რომ მუსულმან ბევებისათვის და სომხის მელიქებისათვის გადაეცა საკუთრებად ის მიწა (ფაქტურათ თითონ გლახებიც), რომელიც მანამდე გლახების საკუთრებას შეადგენდა და 1846 წ., როცა ჯერ კიდევ მისი სურვლი განხორციელებული არ იყო, ასე ასაბუთებდა თავის მოხსენებაში ამ თავის განზრახვას: „ყველგან, სადაც ხალხი მოქალაქობრივობის დაბალ საფეხურზე დგას, მთავრობისათვის უფრო ძნელია იმოქმედოს მთელ მასსაზე, ვიდრე ერთ რომელიმე წოდებაზე, უფრო განათლებულზე და მაშასადამე, უფრო გავლენიანზე. იქ (კავკასიაში) ამ სიძნელეს უფრო საგრძნობლად ხდის მხარის პოლიტიკური მდგომარეობა, ამიტომ, არამც თუ არ უნდა შევეხოთ უმაღლესი წოდების უფლებებს, პირ იქით ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მის დასაცავათ და გასამაგრებლათ, რადგან მხოლოდ არისტოკრატიულ მიმდინარეობას შეუძლია სძლიოს ის დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც განვითარდა და ღრმით გაიდგა ფესვები და რომლის წინააღმდეგაც, სამწუხაროთ, იარაღის გარდა არავითარი საშუალება არ გვიხმარია.

თავ. ვორონცოვის მეცადინეობა სახსრებით დაგვირგინდა. მუსულმანებისა და სომხების უმაღლეს წოდებას მიენიჭა პოლიტიკური და საადგილ-მამულო უფლებები იმ მიწებზე და მამულებზე, — აღმოსავლეთ ამიერ კავკასიაში, სადაც წინათ იყვნენ დასახლებული თავისუფალი გლახები, რომლებიც სახელმწიფო გლახებად ითვლებოდნენ.

(შემდეგი იქნება)

პეონოპიური ცხოვრების განვითარება.

X

როგორც წინა წერილში ვამბობდით, მონობიდან ბატონ-ყმობაზე გადასვლა უშველებელ ნაბიჯის წინ გადადგმას მოასწავებდა. ბატონ-ყმობის დროს, სრულიად დამოკიდებულმა და უფლებებო მონამ პატარა თავისუფლება მიიღო; იგი ახლა უფლებრივ პიროვნებად გადაიქცა, თუმცა მისი უფლება საგრძნობელათ შეზღუდული იყო. მონას არ ქონებია საკუთარი ნება-თავისუფლება, საკუთარი სურვილი; მონა არ ყოფილა უფლებრივი სუბიექტი, არ ყოფილა უფლების მატარებელი პიროვნება, არ ყოფილა არავითარ უფლებით აღჭურვილი ადამიანი,

სულ წინააღმდეგ, იგი უფლების ობიექტი იყო, რომელსაც არ ქონებია არავითარი უფლება, იგი სხვის უფლებას ექვემდებარებოდა, ჩვეულებრივ უსულო საგანს უდრიდა. ყმა კი, როგორც ვიცით, თითქმის სრულიად დაკარგა ჩვეულებრივ ნივთის ხასიათი, იგი უკვე ადამიანად გადაიქცა; მიუხედავად იმისა, რომ ყმის უფლება მრავალმხრივ იზღუდებოდა, მაინც იგი ერთგვარ, ადამიანური უფლებით იყო აღჭურვილი. ყმას ქონდა თავისი საკუთარი ნება-სურვილი, აუშკაც ეს მისი ნება-სურვილი ათასგვარათ იყო შეზღუდული, რომლის საშუალებითაც ასეთ თუ ისეთ თავის მისწრაფების აკმაყოფილებდა. მონას არ ქონდა კერძო საკუთრების უფლება, კერძო საკუთრების შექმნისა, თუ სადმე პატარა მონახული საკუთრება ექნებოდა, ეს ბატონის ნებადართვით; მას არ ქონია რამე ვაჭრობის, ყიდვა-გაყიდვის უფლება. ყველა ესენი კი მინიჭებული ქონდა ყმას, მონას უფლება არ ქონია დაცვალ-შვილებისა, არ შეეძლო დაქორწილებულიყო, ოჯახი გაეჩინა და კანონიერი შვილები ყალოდა. ბატონს თავისუფლათ შეეძლო ებატონნა მონაზე, თავისუფლათ გადაესახლებ-გადმოსახლებინა; დღეს რომ ერთ ადგილს ამუშავებდა, ხვალ შეეძლო სულ მომორებულ პროვინციაში გადაესახლებინა და იქ დაეწყებინებინა მუშაობა. თავისუფლათ ბატონობა კი, ბატონ-ყმობის დროს შეიზღუდა, ბატონს თავისებურათ, თავისი სურვილისამებრ აღარ შეეძლო ყმაზე ებატონნა, თავისი სურვილისამებრ გადაეწყვიტა მისი ბედ იღბალი, ბატონ-ყმური ანუ ფეოდალური წეს-წყობილება სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა ფორმისა იყო, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება მთელი ბატონ-ყმური ინსტიტუტში შექმდები საერთო ნიშნები აღმოვაჩინოთ: კერძო უფლებები თვალსაზრისით რომ შეგვცხება, ბატონ-ყმობის დროს გლეხი, სრული პირადული უფლებით იყო აღჭურვილი, მას ქონდა უფლება ქონების და ოჯახის შექმნისა, შეეძლო ეყიდნა და გაეყიდა, რაც კი, რასაკვირველია, მის საკუთრების შეადგენდა და ესევე საკუთრება შეეძლო ჩამომავლობისთვისაც—მემკვიდრეებისთვის გადაეცა. მისი მოქმედებითი თავისუფლება არ იყო გაუქმებული, იგი მხოლოდ შეზღუდული იყო; მისი ერთი ალაგიდან მეორეზე გადასვლა, მოძრაობის თავისუფლება ბატონის სურვილიდან, ვისიც იგი ყმა იყო, დამოკიდებული იყო. ყმა მიწას იყო მიკერებული, მხოლოდ ბატონის ნება-ყოფლობით შეეძლო ადგილ-მამულისათვის თავი დაენებებინა უკეთუ მოისურვებდა ჯვარი დაეწერნა, — ცოლი შეერთო, აუცილებლათ ბატონიდან ნებართვა უნდა აეღო. გარდა ამისა იგი მოვალე იყო კვირეული, თვიური თუ წლიური პირადული, შრომით სამსახური გაეწია ბატონისთვის და ნატურით გადასახადი გადაეხადა, მაგ. ყმა მოვალე იყო მიქირავებულ მამულის სარგებელი მიეცა, საქორწილო გადასახადი მიერთმია და სხვა ამისთანები. ამა თუ იმ ოჯახს სიკვდილი ეწვეოდა, მემკვიდრენი მოვალენი იყვნენ საუკეთესო ცხენი თუ ძროხა ბატონისთვის მიეყვანა, ამას ბატონები სამარხ ფულს ეძახოდნენ, ანდა სამარხ გადასახადს უწოდებდნენ.

რაც შეეხებოდა პირად სამსახურს, ყმა გლეხებს ბატონისთვის უნდა გადაეხადა, ორ გვარი იყო, რომელიც მჭიდროთ შეკავშირებული იყო იმ დროს წარმოების ურთიერთობასთან. ერთს ერქვა მამულ-დედულის, მეორეს საწარმოვო მამულის გადასახადი. პირველი ჯურის მამულ-დედულის ბატონობა მდგომარეობდა იმაში, რომ ბატონს თავისი საკუთარი დიდი სასოფლო სამეურნეო წარმოება არ ქონია, იგი უმთავრესათ ნატურალ გადასახადის საშუალებით იკვებებოდა. მის საკუთარი მეურნეობა მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, მაწარმოებელი ჩვეულებრივ წლიურათ მომუშავე მოჯანაგირები იყვნენ. მამულის ბატონობას ეკონომიურ სიძრიველს საბეგრო ანუ საბატონო მამულები შეადგენდნენ; აქ იყრიდა გლეხთა ყოველგვარი ნატურალური გადასახადი, აქ მიქონდათ გლეხებს საქმელ-სასმელი და ინახებოდა განსაკუთრებულ, ამისთვის მომზადებულ, საკუქნაოებში. ბატონი მოდიოდა თავის საბატონო ალაგებში, რჩებოდა სანამ მონახული თუ შეგროვილი საქმელ-სასმელი გამოიღეოდა, შემდეგ მეორე საბატონო მამულში გადადიოდა და იქ განაგრძობდა ცხოვრებას, სანამ აქაც არ გამოიღეოდა და ასე ქვევით. იგი თითქმის მთელი წლის განმავლობაში მოგზაურობდა, ერთი ალაგიდან მეორეზე გადადიოდა და ქეიფში ატარებდა მთელ თავის ცხოვრებას. ეს სისტემა ჩვეულებრივ დასავლეთ ევროპაში იყო გავრცელებული, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ გერმანიაში.

მაგრამ სულ სხვა გვარი იყო მეორე ტიპის საწარმოვო ბატონობის ფორმა, ბატონს თავისი საკუთარი დიდი სასოფლო სამეურნეო წარმოება ქონდა. აქ ბუნებრივათ, მთავარი მნიშვნელობა საბატონო გლეხთა პირადულ სამსახურს, გლეხებს ბატონის მამულზე უნდა ემუშავნათ, რომ წარმოების წესიერი მსვლელობა ქონდა, ესენი იყვნენ ბატონის უშველებელ სასოფლო სამეურნეო წარმოების დამმუშავებელი. საბატონო მამულებზე მცხოვრებელი გლეხები. ესენი იყვნენ, რასაკვირველია, ჩამომავლობით ბატონების ქვეშევრდომები, მოვალენი იყვნენ ბატონის მამულში ემუშავნათ და ამ გზით თავიანთი მოვალეობა გადაეხადნათ. თუ რომელიმე საბატონო მიწაზე მოსახლე გლეხს საკუთარი შესაბამელი საქონელი ყავდა, ის მოვალე იყო განსაზღვრულ დროს თავის საქონლით, ანუ როგორც იტყვიან, თავის ხარკამეხით ბატონის მამულში გამოცხადებულიყო, რომ ბატონის მამულში გასაკეთებელი საქმე გაეკეთებინა, იქნებოდა ეს საქმე მოსახნავი თუ მოსატანი. მხოლოდ ის გლეხები, რომლებსაც შესაბამი საქონელი არ მოეპოებოდათ, ისინი მოვალენი იყვნენ ბატონის მამულში ხელის სამუშაო გაეკეთებინათ, თოხით, ბარით და ნამგლით ემუშავნათ. გლეხის ყმაწილები, როგორც კი მოიზრდებოდნენ, ბატონის კარზე უნდა წასულიყვნენ და იქ ემსახურნათ. ვიდრე დანიშნული ვადა გავიდოდა.

როგორც ვხედავთ, ბატონ-ყმობის ხანაში ყმა საესებით არ ყოფილა შეზღუდული, იგი ყოველმხრივ არ

ყოფილა სხვის ნება-სურვილიდან დამოკიდებული; ზოგიერთა შემთხვევებში შებოჭვილი იყო მისი პიროვნება, მისი ნება-სურვილი. და სწორეთ ამაში გამოიხატებოდა ბატონყმობის უპირატესობა მონობის წინააღმდეგ; ასეთ სპეციფიკურ ხასიათის მატარებელი იყო ბატონ-ყმობა მთელი საშუალო საუკუნის განსაზღვრებაში.

ზოგიერთთა შეხედულებით, ჩვენ მიერ დახატული ბატონ-ყმობის სურათი, ბატონ-ყმობის ინსტიტუტი, ამ ფორმით კაცისაგან კაცის გაყვლითა, პირველყოფილი და განსაკუთრებული თვისება იყო საშუალო საუკუნობის. ფეოდალური სისტემა მხოლოდ და მხოლოდ ევროპის საშუალო საუკუნობის მიუცილებელი თვისება იყო. ჩვენის აზრით ასეთი შეხედულება ერთობ ყალბი და შეუწყნარებელია. წინააღმდეგ, ამბობს ჰენრიხ პარპულერი, დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხების სოციალურ შენობას, სოციალურ შედგენილობას რომ მკრთალათ თვალი გადავალოთ, ჩვენ შევხვდებით ზოგიერთა საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, რომლებიც დიდათ ემგზავსებიან საშუალო საუკუნობის ფეოდალიზმს, მთელი მათი უფლებრივი წყობილება ბევრათ ემგზავსება ევროპის ბატონ-ყმობის წყობილებას. ჩვენ დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში შევხვდებით ფეოდალურ სისტემას, განსაკუთრებით იქ სადა ადგილობრივი და კულტურული პირობები შეეხამება ევროპის ბატონ-ყმობის ხანას. სახელწოდებამ, ამბობს იკივე ჰენრიხ პარპულერი, ჩვენ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს; ბევრგან ფეოდალურ ურთიერთობას დღესაც მონურ ურთიერთობას უწოდებენ, თუქცა თავის შინაარსით და დანიშნულებით, სამართლიანათ, ბატონ-ყმობის ანუ ფეოდალიზმის ინსტიტუტი დაერქმეოდა. აი რას მოგვითხრობს ცნობილი ჰელფსი ძველ მექსიკაზე; ინდოეთის მოღობის მონას ქონდა თავისი საკუთარი სახელი, თავისი კერძო საკუთრება, მოძრავი და უძრავი, ქონდა საკუთარი ოჯახი, ყვანდა ცოლი და შვილები და სარგებლობდა ერთნაირ თავისუფლებით, თუ, რასაკვირველია, მას არ ქონდა ბატონის სახლში თუ მამულში სამუშაო. უკანასკნელ შემთხვევაში მისი თავისუფლება დროებით უნდა შეზღუდულიყო, ვიდრე ბატონის მამულში სამუშაოს მორჩებოდა აქ უნდა გაჩერებულიყო, არსაით წასვლა არ შეეძლო. მექსიკაში ბატონ-ყმობა სრულიათაც არ გვანებია მონობის ინსტიტუტს, მას არ ქონია არც ერთი მონობის ინსტიტუტის თვისება, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გვეფიქრნა, რომ ამა და ამ ნიშნობლივის თვისების გამო, მექსიკის სოციალური წყობილებაში მხოლოდ ნატურალური გადასახადი არ არსებობდა, თუმცა ამის მგზავსი გადასახადი, ზოგიერთა დაბალ კულტურის ხალხებშიაც შეხვდება კაცს, როგორც მაგ. აზიის წვრილ ხალხებში. შტეფარტის აღწერით, აზიის წვრილ ხალხების მოთავეები ანუ ბატონები თავიანთ ყმებს ერთგვარ გადასახადებს ადებენ, რომლებიც ყმებში ნაწარმოებით და შრომით უნდა გადაიხადონ. პირველ ჯერის გადასახადის სახით თითვეული შეძლებული გლეხი იხდის წლაურათ ერთ გოდორ ბრინჯს. გარდა ზევით დასახელებულ გადასახადისა თითვეული სოფელი აძლევს თავის

ბატონს, ძროხიდან ძროხას, ღორიდან ღორს, ქათამებიდან ქათამს და სხვ. თუ ნადირობისას წაიღებენ, ნადირევიდან მეოთხედი ბატონს ერგება. რაც შეეხება შრომით გადახდას, აქ ხომ ყოველი გლეხი მოვალეა წელიწადში ოთხი დღე ბატონის. მერე განა აქ დასახელებული ურთიერთობა განსხვავდება ევროპის საშუალო საუკუნის ფეოდალურ წყობილებიდან? მაგრამ თივისი ნამდვილი გამოხატულება ფეოდალურმა ურთიერთობამ ევროპის ცხოვრებაში მიიღო ალავი, რომელსედაც შემდეგ წვრილში ვილაპარაკებთ.

შვარცი.

მუშათა ცხოვრება.

თფილისის საქონლის სადგური. გასულ კვირას მიხდა თფილისის საქონლის სადგურის მუშათა არტელის საზოგადო კრება. სანამ კრების შინაარსზე ვილაპარაკებდეთ, მეტი არ იქნება მოკლეთ აღვნიშნო, თუ რა პირობებში სწარმოებდა თვით კრება. სამწუხაროთ, სასიამოვნოს ამ მხრით ვერაფერს ვიტყვი.

ხშირათ მქონია შემთხვევა დავსწრებოდი მუშების კრებას, მაგრამ ასეთი არე-დარევა, ყვირილი, ხშირათ ლანძღვა-გინება და სხ. არსად მინახავს. თითქმის კრების გახსნიდან დაშლამდე (გაგრძელდა 6 საათს) განუწყვეტელი აურ-ზაური იყო. დიდი ბედნიერება იყო, თუ ორატორი სიტყვას დაასრულებდა. კრება თავადანვე ორ ბანაკად გაიყო და ამიტომაც, როცა ერთი ბანაკის ორატორი დაიწყებდა ლაპარაკს, მეორე უშლიდა ხელს, როცა მეორე დაიწყებდა, მაშინ პირველი, და ასე ბოლომდის. არავითარი თავის დაჭერა, ვთიკის ანგარიშის გაწევა და სხ. ბოლოს საქმე მუშტზედაც კინალამ მივინათ: ვილაპარაკე თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელს კამიდან ჩამოავდო და ამან უბედურება კინალამ გამოიწვია... ყველა ამაგებში ზოგიერთი ეგრეთ-წოდებული „მოწინავე“ ლებულობდა მონაწილეობას. მაგალითათ, ერთი კრებათ ცნობილი „მოწინავე“ მუშა კრების ერთი წევრის ოჯახურ საქმეებში ხელის ფათურსაც არ მოაგრიდა, რაც ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი იყო...

პირველათ კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის ვრცელი მოხსენება. მოხსენებამ გამოარკვია ზოგიერთი საყურადღებო რამ, მაგრამ მასზე კრებას არც ქონია მჯერლობა, ისე დაამტკიცა იგი. შემდეგ მოხსენება წაიკითხა გამგეობის წარმომადგენელმა, რომელმაც კრებას წარმოუდგინა განსახილველათ ზოგიერთი კითხვები და მათ შორის მაგიერობისა და „ოტპუსკების“ შესახებ. დიდი ხმის უმეტესობით კრებამ მაგიერობა მოსპო. ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო იმ კრებაზე. ძნელი სათქმელია, ხელმძღვანელობდა თუ არა კრების უმრავლესობა იმ მოსახრებით, რომ პრინციპიალურათ არ არის დასაშვები მაგიერობა. კამათი ამ საგანზე თითქმის



არ ყოფილა. უნდა აღინიშნოს კი, რომ ზოგიერთები ამბობდნენ: მაგიერობის სახით ადგილებს ყუდიან და ამით არტელი დაგვეშლებო. დიდი გამწვავება გამოიწვია კითხვამ იმის შესახებ, თუ რა ფორმის გამგეობა არსებობდეს არტელში. ამ კითხვაშიც კრება ორ ნაწილად გაიყო. ოპოზიცია წინააღმდეგი იყო გამგეობის არსებული ფორმისა, ის საჭიროთ სთვლიდა რწმუნებულებისა და საბჭოს არჩევას, რომლებიც საზოგადო კრების შემდეგ განაგებდნენ საქმეს და რომლებსაც ექნებოდათ ამ უკანასკნელისაგან მიცემული სამოქმედო ინსტრუქცია. საშინელი უწესრიგობის გამო სათანადო კამათი არც ამ საკანზე ყოფილა. კრების უმრავლესობამ მიიღო ოპოზიციის აზრი. არჩევნები იმ დღეს ვერ დასრულდა, რადგან, როგორც შევნიშნეთ, თავმჯდომარე სკამიდან ჩამოვადგეს...

როგორც ვაგიგეთ, კრების გაგრძელება დღეისთვისაა დანიშნული. ვუსურვებ კრებას, რომ არ განმეორებულ იყოს ისეთი უწყსოება, როგორც ვასულ კვირას იყო.

შესთ.

კორესპონდენციები.

ბაჰმ. ხოლერა გვესტუმრა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ისეთი სუსტი გამოდგა, რომ 7 კაცის მეტი ვერ იმსხვერპლა. *) „საქმე ებიდემია“, აი, დარჩეს „ებიდემია“ და მაშინ გაჩვენებთ ჩვენს ბიჭობას“-ო. ამბობენ აქაური „მაშეზი“. „Мы можем развернуть 160 кроватей“—ყოყოობით ამბობს ქალაქის თავი რავესკი.—А мы 260.— რიხით უპასუხებს მას ნავთის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელი. იმედი არის, ეს პატივცემული პარეზი არ დაიფიწყებენ კუბოებას და ამ თავითვე საკარისათ დაამზადებინებენ. ასეა თუ ისე, ხოლერამ აქაური მცხოვრებლების „ჭირისუფალი“ საღათას ძილი დაუფრთხო და ქალაქისა და საზრეწველო რაიონების ანტი-სანიტარულ მდგომარეობაზე ალაპარაკა. გაზეთი „ბაქო“ ინტერვიუს უკეთებს ქალაქისა და ნავთის მწარმოებელთა საბჭოს დაწესებულებებში მოსამსახურე ექიმებს, სათითაოთ ამქვერმეტყველებს მათ და იქიდან ეს ძვირფასი ნააშვარი თავის ფურცლებზე გადმოაქვს.

ქალაქის საბჭოს სანიტარული განყოფილება ახალ-ახალ გეგმებს იმუშავებს დაუბატიყებელ სტუმართან საბრძოლველად და გაზეთის საშვალეებით დიდი საქმიანობით ამცნევს მცხოვრებლებს: მოუხარშავი წყალი არ დალიოთო. გვპირდებიან აგრეთვე ხოლერის შესახებ ლექციებსაც. ამას გარდა „ექიმთა საზოგადოება“ აცხადებს: „ამ ახლო მომავალში „ექიმთა საზოგადოების“ წევრთა კრება მოხდება, სადაც დასმული იქნება კითხვა ხოლერასა და მასთან საბრძოლველ საშვალეების შესახებ“-ო. ერთი სიტყვით, ბურჟუაზიის წარმომადგენლები და მისი

დაწესებულებანი, როცა დაინახეს საფრთხე, რომელიც არც მათ უქადის კარგ რავეს, ამოდრავდა, მარა ამაში მონაწილეობას არ იღებს ბაქოს პროლეტარიატა. მას ნება არ აქვს თავის კეთილდღეობაზე იზრუნოს. ამიტომ ის სდუმს და ამ დუმილით გამოხატავს მწარე ირონიას თავის „ჭირისუფალი“ მიმართ. მართლაც იწუხებენ თავს ეს „ჭირისუფლები“? მართლაც ზრუნავენ ისინი მცხოვრებთა დაჩაგრული ნაწილის კეთილდღეობაზე? ვინც ღრმით არ დაუკვირდება მათ ნალაპარაკებს და ვერ იცნობს მათ წარსულ ნამოქმედარს, ის მართლაც გულწრფელობას და საქმიანობას შესწამებს ხსენებულ „ჭირისუფლებს“ და შეიძლება სიტყვას: „შეხედეთ, რა კაცთ-მოკვარე ანგელოზები ყოფილა თურმე ამ მტაცებლობის ქალაქშიო!“ მაგრამ ვინც ჩაუკვირდება მათ სიტყვას და საქმეს, ის ადვილად მიხვდება, რომ ეს მათი სიტყვა, და თუ გნებავთ საქმეც, ტრაბახობასა, ერთმანეთთან თავის გამოჩენის სურვილსა და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, კარიერისტობას უფრო წაავას, ვიდრე ნამდვილ საქმიანობას და მცხოვრებლებისათვის გულწრფელ მოღვაწეობას, რომ ეს ასეა, ამას აპტიცებს მთელი მათი წარსული და აწმყო მოქმედება. განა აქაური ანტი-სანიტარული მდგომარეობა, მშრომელთა მასის სიცოცხლის მომწამვლელი ბინები, შიმშილი, სიცივე და დამპალი სანოვავე, რომელსაც ერთი ოთხათ ასადებენ აქ მსხვილი და წვრილი წურბლები მცხოვრებლების ღარიბ ნაწილზე ე. ი. მუშებზე, განა ყველა ეს ახალი ამბავა?


არც ქალაქის თვითმართველობა თავისი სანიტარული განყოფილებით, არც ნავთის მრეწველთა კრების საბჭო, არც ექიმება თავისი „საზოგადოებო“ და არც აქაური ბურჟუაზიული გაზეთები კრინტაც არ სძრავდენ მთელი წლის განმავლობაში იმ ჯოჯოხეთურ და აუტანელ პირობების წინააღმდეგ, რომელშიაც იმყოფება აქაური მცხოვრებლები უდიდესი ნაწილი. ან კი რატომ დასძრავენ? ისინი ხომ საერთოთ შეძლებული კლასის ინტერესებს იცავენ. შეძლებული კლასი კი სულ სხვანაირ პირობებში იმყოფება. მას ისე ადვილად სენი ვერ მონახავს, როგორც ღარიბს და საწყალს. ამას გარდა ხოლერა აქ ზაფხულობით ჩნდება. შეძლებული და მუშების ზურგზე გასუქებული საზოგადოება კი ზაფხულობით აგარაკებისაკენ მიეშურება. რჩება უმეტეს ნაწილად საზოგადოების ღარიბი და მშრომელი ნაწილი. ამათზე ზრუნვით კი ბურჟუაზია არაფრათ იწუხებს თავს. მუშათა კლასმა კარგათ იცის ეს. . იცის, ვის ინტერესებს ემსახურებიან ხსენებული ჭირისუფლები. მათგან ის არავითარ მზრუნველობას არ მოელის. თვითონ მას კი ათასნაირი დაბრკოლება ელოდება წინ, თვით-მოქმედება აკრძალული აქვს და სანამ ძალი არ მოუკრება, სდუმს და ამ დუმილით ის გამოხატავს თავის გულის წყრომას და მწარე ირონიას.

ღთლი.

ოზურგეთი. (პარკის სახრჩობ ყაზარმაზე მომუშავეთა ცხოვრებიდან).

ოზურგეთში არის სამი ყაზარმა, სადაც ყოველ წლიურათ აუარებელი პარკი იკვლება და ინახება გასახმობათ.

*) უადგილობის გამო ეს კორესპონდენცია დაგვიანებით იბეჭდება.



პირველი ყაზარმა რომელსაც „გურიის პირველი აპარკეს“ უწოდებენ, არის ალ. კალანდაძის, მეორე დი. ცეცხლაძის, ხოლო მესამე კი ვ. ხუნდაძის და აშ.

ზემო-აღნიშნულ ყაზარმებზე მუშაობა ძლიერ ცუდ პირობებში სწარმოებს. ალ. კალანდაძის ყაზარმაში მუშაობაც დიდია და მოკუშავეთა რიცხვიც დიდი უნდა იყოს, მიგრამ ეს, საუბედუროო, ასე არ არის; მაშინ როდესაც ცხრა კაცი უნდა მუშაობდეს, მუშაობს მხოლოდ ოთხი კაცი.

როცა ბ. კ—ძეს კითხავთ, რატომ ასე მცირე რიცხვი გყავს მუშისო, ის იმ წამსვე მოგივებთ: „რა ვქნა ძმავე, გასულ წელს 12 მუშა მყავდა, რის მეოხებით 500 მანეთამდე წავაგე“.

12 კაცის ადგილზე ოთხი კაცი! რა კარგია? ხელფასაც მეტათ მცირეა. სხვა ყაზარმებში, ვსაც მუშაობა კი შეუძლია, 60 კაბ. აქვს; აქ კი ხელფასი 50 კაბ. არ აღემატება. ერთ დღეს, როცა ხ—ძის და აშ. ყაზარმაზე არ იყო მუშაობა, კ—ძემ დაიბარა იქ მოძუშავე სამი მუშა, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა ფასს გაურიგებლივ, რადგან ეგონათ, რომ ისიც სამ აბაზს მისცემდა. სალამოდის იმუშავეს; მუშაობის გათავების შემდეგ, ფული მოიპოვებს და მიიღეს შემდეგი პასუხი: ერთს გერგება 25 კ., მეორეს — 30 კ., ხოლო მესამეს კი — 40 კ. თუ გინდათ მიიღეთ თუ არა და მიბრძანდით. მუშებმა ფული არ მიიღეს, შეუთვალეს გამოეგზავნა ის, რაც უკვე დადგენილია, რაც მუშებმა მოიპოვეს თავისი გაფიცვებით, მაგრამ ამაზე კ—ძის მხრავ კატეგორიული უარი იყო. ბოლოს მუშები იძულებული შეიქნენ აეღოთ კ—ძის ტაქსით დადგენილი ხელფასი.

რაც შეეხება მუშაობის დაწყებას, ის იწყება დილას 5 საათზე და თავდება სალამოს 7 საათზე.

ბ. დ. ცეცხლაძის ყაზარმას რომ თვალს ვაკლებ, მაგონდება ერთი პატარა წერილი, რომელიც ამოვიკითხე „მათრახის“ ერთ-ერთ ნომერში. იქ სხვათა-შორის ეწერა: „ყაზარმებზე პარკთან ერთათ ახრჩობენ იქაურ მუშებსო“. ეს სიტყვები ზედ გამოჭრილია ც—ძის ყაზარმაზე. აქ 15 მუშამდე მუშაობს, მაგრამ ვი ამგვარ მუშაობას: არც დასვენება, არც თავის დროზე მუშაობის დაწყება და სხვა ასეთები. მუშაობა იწყება დილის ოთხ საათზე და თავდება სალამოს ცხრა საათზე, უფრო ხშირათ კი ათ საათზე. არავითარი დასვენება მათთვის არ არსებობს, სულ მუშაობა და მუშაობა, განუწყვეტელი შრომა. ერთ დღეს ერთ მუშას სადილის დროს დააგვანდა ნახევარი საათი, რისთვისაც ის სწრაფ დათხოვნილ იქნა სამუშაოდან. რაც შეეხება ხ—ძის და აშ. ყაზარმაზე მომუშავეთა ცხოვრებას, მუშაობა შედარებით გვარიან პირობებშია. მუშაობა იწყება 6 ს. და თავდება 6 საათზე. დასვენება არის საუზმეზე 30 წ. სადილზე — 1 ს. და 30 წ. და ნასადილევს 1 საათი. ქირა, ვისაც კი მუშაობა შეუძლია, ეძლევა 60 კაბ.

გასულ წელს ზედამხედველათ იყო ი. თხ—შვილი, რომელმაც ერთ მუშას კიდევ სცემა, წელს კი მისი ადგილი სხვამ დაიკავა.

ხონი. თუ ქალაქებში წარმოდგენების სტანდარტები მოდგომაზე იწყება და გაზაფხულის გასვლაზე გრძელდება, სამაგიეროთ ჩვენ, პროვინციელები მხოლოდ ზაფხულობით თუ ველირსებით რიგიან წარმოდგენებს. ეს ადვილი გასაგებია. მხოლოდ ზაფხულობით იყრის თავს სოფლებში და დაბებში ავი თუ კარგი ინტელიგენტური ძალები. ასეთ მდგომარეობაში არის ხონიც. ახალგაზდობა ზაფხულობით ჩამოდის და ზოგიერთი მათგანი სცენის მოყვარეებად ეწერებიან.

ხონის საზოგადოებაში თეატრისადმი ლტოლვილება საქმაოთ იკიდებს ფეხს. თუ წინათ თეატრი გარყვნილების ბუდეთ ქონდა წარმოდგენილი დიდ უმრავლესობას, ახლა გაიგეს, მიხვდნენ, თუ რა საჩვენებლობა შეუძლია მოუტანოს ადამიანს თეატრმა, და აგერ სამი წელიწადია რაც ბ. პოლიევკტ კიკალიშვილის თაოსნობით და ზოგიერთ ადგილობრივ ინტელექტულების დხმარებით იმართებოდა წარმოდგენები ზაფხულობით. ყოველ წლოვით ყვეთ მოწვეული მსახიობი ნ. გვარამე, რომელიც კიდევაც აქტიორობს. და კდეკაც რეჟისორობს. ბ. გვარამემ თავიდანვე ენერგიულათ მოკიდა ხელი საქმეს; ბევრ ახალგაზდას გაუღვიძა სცენაზე თამაშობის სურვლა და თანდათან მიიზიდა საზოგადოება თეატრისაკენ.

წელს თეატრის საქმეს ხელი მოკიდა ადგილობრივი წ. კ. გ. ს. გამგეობამ. შეადგინეს ცალკე დრამატიული გამგეობა და მას მიანდეს თეატრის საქმის გაძლოლა. დრამატიულმა გამგეობამ დიდი ენერგია გამოიჩინა და ერთი ნაბიჯი კდეკ წინ წადგა. წინათ თუ ერთი ყავდათ დაქირავებული აქტიორი, ახლა ოთხი მოიწვიეს მთელ აქაურ სეზონზე: ქენა ნ. ჯავახიშვილი, თ. გოგოლაშვილი და ბ.ბ. ვალ. შალიკაშვილი და ნ. გვარამე. 20 ივნისს კიდევაც გაიხსნა სეზონი, რომელიც უზოო ადრე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა გამო დაგვიანდა.

სეზონი დაიწყეს „სამშობლოს“ წარმოდგენით, რომელიც უკვე ბევრჯელ დადგმულა ჩვენ პატარა სცენაზედაც და სწორეთ ამიტომ არ არის მოსაწონი მისი არჩევა, მით უმეტეს, რომ თვით პიესაც უკვე დაძველებულათ უნდა ჩითვალოს და არ იქნება ურიგო უფოო თანამედროვე რეპერტუარს მიაქცევდენ ყურადღებას. წარმოდგენის წინ ექ. პოლ. კიკალიშვილმა საზოგადოებას გააცნო მოკლეთ ქართული ტეატრის ისტორია, და ამასთანავე აუხსნა დამსწრე საზოგადოებას თუ რა როლს თამაშობა თეატრი ცხოვრებაში; თუ როგორი თავისუფალი სკოლა არის დღეს თეატრი, და ამასთანავე მიმართა თხოვნით, რომ ხელი შეუწყონ და დაეხმარონ ამ საქმას მოწყობაში. საერთოთ პიესამ გვარიანათ ჩაიარა. განსაკუთრებით კარგათ შესრულა ქ. თ. გოგოლაშვილმა ქეთევანის როლი, კარგი იყო ბ. შალიკაშვილი ლეონიდის როლში. ბ. ნ. გვარამეც კარგი ლეონ ხიმშიაშვილი იყო, განსაკუთრებით მეხუთე მოქმედების მეორე სურათში; ნაკლები შაჰი იყო ბ. ი. რუხაძე, მას აკლდა მრისხანება შაჰისა, ხმა სრულათ არ უწყობს ხელს ასეთი როლების სათამაშოთ და უკეთესი იქნებოდა, რომ რეჟისორს სხვის-



თვის მიეცა იგი. ადგილობრავ სცენის მოყვარეებზე ჯერ არას ვიტყვი. მაღლობის ღირსია გამგე ქ-ნი ეკატერინე ბახტაძისა, რომელიც ცდლობს გარეგნულათაც სასიამოვნოთ მოაწყოს თეატრი და მით ესთეტიური სიამოვნება მიანიჭოს მაყურებელთ. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო.

ავ. პლუნიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით პასუხა გავცე ბ. შვერტებულს იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებული იყო თქვენა გაზეთის მეშვიდე ნომერში. მთელი წერილი თავიდან ბოლომდის სიმართლეს მოკლებულია და რომ ბ. შვერტებულს ცოტადანთ თავი შეეწუხებინა და სამკითხველს საქმეებს გასცნობოდა, მე არა მგონია, რომ ამისთანა წერილი დაებეჭდა გაზეთის ფურცლებზე და მით შეცდომაში შეეყვანა მკითხველი საზოგადოება და ჩირქი მოეცხო გამგეობის წევრებისთვის. დავიწყებ თავიდან და მუხლებრივ გავაბათილებ ყველა წამოყენებულ ბრალდებებს გამგეობის მიმართ: 1) სამკითხველოში შეძლებისდაგვარათ მოიპოვებინა ქართული წიგნები და სწორეთ იმ მწერლების თხზულებები, რომლებიც ჩამოთვლილია წერილში. რომ ბ. შვერტებულს თავი შეეწუხებია და კატალოგი მაინც გადაეთვალაიერებია, მე არა მგონია, რომ ეს ფაქტი აღენაწნა თავის წერილში. 2) ბრალდება, რომ გამგეობა ყურადღებას არ აქცევს წინადადებებს, სიმართლეს მოკლებულია, სამკითხველოში არის ისეთი წიგნი, სადაც ყველა წევრს ნება აქვს წინადადებები მისცეს გამგეობას ამა თუ იმ წიგნის ან ჟურნალ-გაზეთის გამოწერის შესახებ, ან მათთან რ. ი. ე. უკანონო მოქმედების შესახებ გამგეობის წევრს, რაზედაც გამგეობა მოვალეა პასუხი გასცეს; ამა დამისახელოს ბ. შვერტებულმა, ყოფილა იმისთანა წინადადება, რომელზედაც გამგეობას პასუხი არ გაეცა? 3) მთელი ბიუჯეტის გაფლანგვა-დარიგების შესახებ მოვასხენებ ბ. შვერტებულს: თუ მას გული შესტკევა სამკითხველსთვის, მას ყოველ-ჯამს შეეძლო გადაეთვალაიერებია სამკითხველს წიგნები, საიდანაც დარწმუნდებოდა თავის შეცდომაში; 4) ბრალდება, რომელიც ეხება ანგარიშების შეუდგენლობას, სიმართლეს მოკლებულია; ყოველ წლის ბოლოს დგება ანგარიში რთელი წლისა სამკითხველს მოქმედების შესახებ და ვგზავნება ერთი პირი რკინის-გზის უფროსს, მეორე იგზავნება რედაქციაში „Вѣстникъ закавказ. ж. дор.“ ხოლო მესამე—რჩება სამკითხველოში, რომელიც გამოკრულია ხოლმე რამდენიმე თვეობით წევრების საყურადღებოთ და თუ ეს ბ. შვერტებულმა არ იცის, მგონია, მისი ბრალი უნდა იყოს და არა გამგეობისა. 5) რაც შეეხება ფაიტონებში ხარჯვას, როდესაც გამგეობის წევრები მიდიან წიგნებს სასყიდლათ, ესეც შეეძლო გაესინჯა შემოსავალ-გასავლის წიგნებში, საიდანაც დარწმუნდებოდა, რომ არამც თუ ფაიტონით, არამედ კონკრეტულ კი არ მოგვიტანია; მოგვიტანია ჩვენის ზურგით. 6) უკანასკნელი ბრალდება, რომელიც ეხება „დიდებულ“ პირებისგან გაზეთების ხევის, მე არა მგონია, რომ ამისთანა შემთხვევა ყოფილიყო და თუ მას შეუმჩნევია, მოვალე იყო მიექცა გამგეობის ყურადღება და თუ უკანასკნელი არ მიექცედა ყურადღებას, მაშინ გადაეტანა გაზეთის ფურცლებზე.

დასასრულ არ შემძლია წინადადება არ მივცე ბ. შვერტებულს: იცის თუ არა, რომ სამკითხველს არავითარი სახსარი არ აქვს ისულდგმულოს, გარდა იმისა, რაც ფული შემოვა წევრებისა-

გან? და თუ იცის, განა მას უფლება აქვს მოითხოვოს, რატომ სამკითხველოში ყველა ქართული წიგნები არ არის, როდესაც იმოდენა ქართველ მუშა ხელისნებში სამი თუ ოთხი არის წევრი სამკითხველის? იქნება ბ. შვერტებულმა ბრძანოს, რომ ჯერ სამკითხველო მოაწესრიგეთ, წიგნები შეიძინეთ და მერე ჩაეწერებანო, მაგრამ შემცდარი აზრი იქნება; რომ სამკითხველო დადევს სასურველ ნიადაგზე ამისთვის საჭირო არის ფული. სასურველია, რომ ბ. შვერტებულმა აიხადოს ნილაბი, რათა შემდეგში ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე.

დევს სამკითხველო გამგეობის მონდობილობით
წევრი გ. მკეკობისა გილრგი რივაძე.
1 ივლისი, 1910 წ.

რედაქტორ-ვამომცემელი კ. ფ. მგელაძე.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი.

წოფილი წყლის ქარხანა ი. მ. ცატუროვისა

დღეიდან გამოვა ახალი ფირმით

„ი. მ. ც. და ამხ.“

ამ ახალმა „ფირმამ“ შეიძინა ახალი მანქანები და საუკეთესო მასალები წყლის დასამზადებლათ, რომელიც სრულიად არ განსხვავდება გემოვნებით, სუნნელობით და სისუფთავით ძველი ქარხნის ზემგელის წყლისაგან. დასარწმუნებლათ ამისა უმოკრჩილესათ ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, საცდელათ შეადაროს ჩვენი გამოცემული წყალი აღნიშნულ ზემგელის წყალს, რომელზედაც, სრული იმედი გვაქვს, კმაყოფილი დარჩება.

პატივისცემით ივ. დავ სოზიაშვილი.

რადგან ახალი ფირმის ბოთლზე მისაკრავი იარლიკები ვერ მოვასწარი, რამდენიმე დღე ბოთლზე ძველი იარლიკი ეკვრება.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს იქნება კვირული სურათიუხიანი ღამატიუბა გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქილაქში ისე ქილაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: თფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12, Семену Пашалишвили.